

600
19,59

საქართველო
საბჭოთავო



**გეგმვა
და გეგმვა**


№ 10 ოქტომბერი 1959



ავტობატარებელი „T-100“

ს ს რ პ ა ვ შ ი რ ი ს

40-ტონიანი ავტომობილი-თვითმცლელი „MA3-50“



ლიპქსაფუძლამ ურჯიარს

არსაფუძლამ რეალაფრამ

მეცნიერება და ტექნიკა

საქართველო
მეცნიერებათა
აკადემიის
გამოცემის
XI
წელი

№ 10

ოქტომბერი

1959

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ორგანო

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის განვითარების ერთ-ერთი თანამედროვე მიმართულება

დოქტორი გ. ნუშარიძე

მიმდინარე შეიღწილიან გეგმით გათვალისწინებული მანქანათმშენებლობის, როგორც საერთოდ მრეწველობის წამყვანი დარგის, მნიშვნელოვანი განვითარება. ამ ამოცანის შესრულება დამოკიდებულია მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის ისეთი პრობლემების გადაჭრაზე, რომელთა საშუალებით შესაძლებელია მანქანათა ხარისხის მნიშვნელოვანი ამაღლება და რაოდენობის გაზრდა წარმოების თანამედროვე რენტაბელური და მაღალმწარმოებლური მეთოდებით.

როგორც ცნობილია, მუდმივ გაუმჯობესებას განიცდის მანქანების ძირითადი პარამეტრები: იზრდება მათი სიმძლავრე და სწრაფმავლობა, მაღლდება სიზუსტე; საჭირო ხდება მუშაობის ხანგამსწლობის გაზრდა; მნიშვნელოვნად მცირდება წონა და გაბარიტული ზომები; მოთხოვნილებასთან დაკავშირებით იზრდება ყველა სახის მანქანათა რაოდენობა.

ამ საკითხების ჩარისხიდან და დროულ გადაჭრაზე მუშაობენ სხვადასხვა დარგის სპეციალისტები. მეტალურგები ქმნიან მაღალი ხარისხის ლითონებს როგორც მანქანათა დეტალებისათვის, ასევე მათი დისამუშავებელი იარაღებისათვის; კონსტრუქტორები სისტემატურად აუმჯობესებენ არსებული მანქანების საშუალო პარამეტრებს, აპროექტებენ ახალ უფრო ეფექტურ მანქანებს და სხვ.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია, როგორც ტექნიკურ მეცნიერებათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი, უდიდეს როლს ასრულებს დიდი რაოდენობის საუკეთესო მუშა პარამეტრებიანი მანქანების რენტაბელური მეთოდებით შექმნაში. ამით უნდა აიხსნას ის დიდი ყურადღება, რომელიც მიქცეულია მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის განვითარებაზე ჩვენს ქვეყანაში.

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგია შედარებით ახალი დარგია, მაგრამ მისი განვითარების სწრაფმა ტემპებმა ერთ-ერთ წამყვან მეცნიერებად გადააქცია. იგი პირველად საბჭოთა კავშირში ჩაისახა და მოკლე ხანში განვითარების მაღალ ღონეს მიაღწია, რაშიც მნიშვნელოვანი დამსახურება მიუძღვით საბჭოთა მეცნიერებს. ამ დარგის ერთ-ერთი ფუძემდებლის — პროფ. ა. სოკოლოვის პირველად (1932-1935 წწ.) გამოცემული ტექნოლოგიური შრომები ძირითადად წარმოადგენდა საწარმოებში არსებული მეთოდების აღწერას და ხშირად რეცეპტული ხასიათი ჰქონდა. 1955 წლის შრომები კი უკვე ღრმა მეცნიერული კვლევით ხასიათდება მანქანათმშენებლობის ისეთ ძირითად საკითხებზე, როგორიცაა: ვიბრაციები ლითონების ჰრის დრის და მათთან ბრძოლის საშუალებები; ტექნოლოგიური დრეკალი სისტემის (ჩარხი-დეტალი-იარაღი) სიხისტე და მისი გაღწენა მწარმოებლობასა და დეტალების დამზადების სიზუსტეზე; მექანიკური დამუშავების სიზუსტის სისტემაზე, ზომების სიზუსტე და მათი უზრუნველყოფის მეთოდები; დეტალების დასაყენებელი ბაზების არჩევა; ნამეტების ანგარიშის მეთოდები და სხვ. პროფ. ა. იახნის მიერ შექმნილია მექანიკური დამუშავების სიზუსტის ანალიზის მათემატიკური სტატისტიკისა და ალბათობის თეორიის მეთოდები და სხვ. პროფესორებმა ა. კაშირინმა, ა. ისაევმა, ბ. დიარეწომ დამუშავებული ზედაპირების სისუფთავისა და ექსპლუატაციის პირობებში მისი მნიშვნელობის შესწავლით შეაღწეს მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიის თეორია.

1936 წლიდან დღემდე საბჭოთა მკვლევარების საწარმოთა სპეციალისტებისა და ნოვატორი-მუშების მეორე დიდი მუშაობა იქნა ჩატარებული ლითონების მერ ჩქა



რული, ხოლო შემდეგ ქალური კრის თეორიის დამუშავებაზე და სწარმოებში მათ დანერგვაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მანქანათმშენებლობის კათედრამ (თ. ლომაძის ხელმძღვანელობით).

უქანასწეულ წლებში დეტალების მუშაზე დაიპირებინ ცვეთამდეგობა ერთ-ერთი აქტუალური საკითხი გახდა. ამასთან დაკავშირებით გაჩნდა ახალი მიმართულება „განმამტკიცებელი ტექნოლოგია“. მისი საშუალებით მიიღება მაღალი სიმტკიცის, სისალისა და ცვეთამდეგ მუშა ზედაპირები. ამ საკითხის განვითარება ძირითადად ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ორივე გზით შესაძლებელი გახდა მუშა ზედაპირებში წარმოქმნის ისეთი ნარჩენი ძაბვები, რომლებიც მნიშვნელოვნად აღიდეგს მანქანების დეტალების საექსპლუატაციო თვისებებს: დალილობით სიმტკიცეს, ზედაპირულ სისალეს, ცვეთამდეგობას.

„განმამტკიცებელი ტექნოლოგია“ პირველ მიმართულებაში შედის განმტკიცების სპეციალური ოპერაციები: თერმული, თერმოქიმიური და აგრეთვე ზედაპირული ფენის პლასტიკური დეფორმაცია — განმტკიცება კრით დამუშავების შემდეგ (ახდენენ უკვე დამუშავებული ზედაპირების მოგორვას გორგოლაკებით ან ბურთულებით, ციკვედვას საფანტის ქველით, დაკალიბრებას ბურთულებით და სხვ.). „განმტკიცება“ კრით დამუშავების შემდეგ ხასიათდება დამუშავებული ზედაპირების მაღალი დეფორმაციით, ციკვედვით ფენის სავაო სისქეზე, სისალის მნიშვნელოვანი გადიდებით, განსაკუთრებით ბლანტ ლითონებზე. ეს პროცესები თავისი ბუნებით ემსგავსება ლითონების ზედაპირულ წრთობას, ვინაიდან მოგორვის დროს გარე ფენებში ჩნდება პლასტიკური, ხოლო შიგა ფენებში — დრეკადი დეფორმაცია. ლითონის დრეკადად დეფორმირებული ზონა ცდილობს დაიბრუნოს თავისი პირველადი მდგომარეობა, მაგრამ ამას ხელს უშლის გარეგანი პლასტიკურად დეფორმირებული ფენა. ამ ფენთან ურთიერთქმედების შედეგად ჩნდება ელმუშის მნიშვნელოვანი შიგა ძაბვები ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს ლითონების ზედაპირული წრთობისას.

თანამედროვე მანქანათმშენებლობაში „განმამტკიცებელი ტექნოლოგია“ აღნიშნულმა სპეციალურმა ოპერაციებმა დიდი გავრცელება მოიპოვა, მაგრამ თითოეულ მათგანს, გარდა დადებითისა, აქვს უარყოფითი თვისებები და გამოყენების განსაზღვრული დიაპაზონი: კერძოდ, ქიმიური და თერმოქიმიური პროცესები ხასიათდება შესრულების სირთულითა და მოწყობილობის

სიძვირით. პლასტიკური დეფორმაციის მეთოდები (მოგორვა, ბურთულით დაკალიბრება, ტუშქაშა, ციკვედვა და სხვ.) შესასრულებლად შედარებით მარტივია, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ნაკლებ ხარისხობრივ შედეგს იძლევა.

დღე ინტერესს იწვევს „განმამტკიცებელი ტექნოლოგია“ მეორე, უფრო ახალი მიმართულება, რომელიც ძირითადად ლითონების ფიზიკის თეორიას ეყრდნობა. მისი არსი ემყარება დეტალების მუშა ზედაპირების განმამტკიცებელი ოპერაციების შეთავსებას ლითონების კრით დამუშავების პროცესებთან — ე. ი. კრას ისეთი რეჟიმებით, რომლებიც ამავე დროს იძლევა ლითონის ზედაპირულ ფენებში მაღალ ძაბვებს, მნიშვნელოვან ფიზიკურ ცვლილებებს. ამის შედეგად ვლბულობთ მაღალი სისალის, დალილობითი სიმტკიცისა და ცვეთამდეგობის ციენაკედ ფენას. „განმამტკიცებელი ტექნოლოგია“ ეს უქანასწეული მიმართულება უთუოდ პროგრესული მოვლენაა, ვინაიდან იგი საშუალებას იძლევა ბევრ შემთხვევაში გათავისუფლდეთ სპეციალური „განმამტკიცებელი“ ოპერაციების გამოყენებისაგან.

უქანასწეული პერიოდის საპოთა მკვლევარების პ. დიანეკოს, ა. ისაევის, ბ. კოსტეცის, ლ. გლიკმანის, ა. მატალინის მიერ ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ ლითონების კრით დამუშავებისას ზედაპირული ფენები განიცდის ფიზიკური თვისებების მნიშვნელოვან ცვლილებებს, დაახლოებით ისევე, როგორც ამას ადგილი აქვს „განმამტკიცებელი ტექნოლოგია“ უკვე აღნიშნული სპეციალური ოპერაციებისას. ამასთან დაკავშირებით დამუშავებული ზედაპირების საექსპლუატაციოდ განსამტკიცებლად წარმოიშვა ახრი კრის ოპერაციების გამოყენების შესახებ.

დამუშავებული ზედაპირის ციკვედვასა და სისალის გაზოდაზე კრის პროცესის გავლენა უკვე დიდი ხანია ცნობილია, მაგრამ ამჟამად კრის რეჟიმის უფრო მოზერებელი შერჩევით შესაძლებელი გახდა მისი გავლენის მეტი ეფექტურობა. დამუშავდა ზოგიერთი ისეთი კრის რეჟიმები, რომლებიც იძლევა ლითონების ზედაპირულ ფენებში მეტ ძაბვას, დეფორმაციას, რითაც დამუშავებული ზედაპირი მნიშვნელოვნად მტკიცდება. ამას ადასტურებს პროფ. ა. მატალინისა და დოც. ვ. რისკოვას მიერ ჩატარებული ცდები ნახშირბადანი ურთობით ფოლადის ხეხვაზე კრის სილბის მნიშვნელოვანი გადიდებით (ნაცვლად 0,005 მმ-ისა მიღებულია 0,015-0,02 მმ). მართალია, ასეთი რეჟიმებით დამუშავებული ზედაპირის სისუფთავე მ-დან 6-7 კლასამდე დაიკლო, მაგრამ



საქართველოს
წერა-ბეჭდვის
კავშირთა
კავშირთა

მოიმატა მიკროსისალემ 20-50, ხოლო ცვეთამდეგობამ — 20-80%-ით. მწარმოებლობა გაიზარდა დაახლოებით ჭრის სიღრმის გადიდების პროპორციულად.

ამ მოვლენას ავტორობს ხსინა დამუშავებულ ზედაპირზე ციკვების გაჩენით, რაც გამოწვეულია ჭრის სიღრმის გაზრდის შედეგად ჭრის ძალების გადიდებით. სასურველია ანალოგიური ცდების ჩატარება ჩვენს საწარმოებში სპეციალური განამტკიცებელი ოპერაციების გამოჩენის, მწარმოებლობის გაზრდისა და ზედაპირის ხარისხის გასაუმჯობესებლად. ასეთი ცდებით წარმოების მუშაკებს შეუძლიათ გამოსცადონ მნიშვნელოვანი დეტალები (შპინდლები, ლილვები, ღერძები, მილისები და სხვ.) და თითოეული მათგანისათვის დაადგინონ ისეთი ოპტიმალური ჭრის რეჟიმები, რომლებიც დეტალების ზედაპირის განმტკიცებასთან ერთად მოგვცემს მაღალ მწარმოებლობას.

მკითხველს შეიძლება დაეხმოს აზრი იმის შესახებ, რომ ჭრის პროცესებიდან შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ ხევა, როგორც განამტკიცებელი ოპერაცია, ვინაიდან ეს პროცესი ნაწილობრივ ემსგავსება ზედაპირების გორგოლაკებით ან ბურთულებით მოგორვას. რადგან სახეები ქარგოლის მჭრელ მარცვლებს, სხვა ლითონისაგან იარაღებთან შედარებით, არ გააჩნია განსაზღვრული სიდიდისა და განლაგების გეომეტრიული პარამეტრები (კუთხეები), ამის გამო ზოგი აბრაზული მარცვლი ძალზე მცირე ზომის ბურთულას ხსნის, ზოგი მხოლოდ კაწრავს ზედაპირს, ხოლო დანარჩენი, რომელთა რაოდენობა მნიშვნელოვანია, ჭრის მაგიერ აწარმოებს ზედაპირის დათევას, შემცირივებას. ამავე დროს სახე ქარგოლს არა აქვს მაღალი ჭრის უნარი და ერთხელ ჩართული ჭრის სიღრმის ასაღებად რამდენიმე გავლა საჭირო (განსაკუთრებით წვრილმარცვლოვანი სახეები ქარგოლის შემთხვევაში). ამ დროს ხდება ზედაპირის თანდათანობით დათევა, განმტკიცება ჭრის ძალის რაოდენობის მდგენლის მოქმედებით, რომელიც ხევის დროს ხასიათდება განსაკუთრებული სიდიდით. გარდა ამისა, ხევისას დასამუშავებელი ზედაპირი მაღალ ტემპერატურამდე ხურდება, რაც იწვევს მის ნაწილობრივ წრთობას გამაცივებელი სითხის გავლით.

ყველა აღნიშნული ფაქტორი ხელს უწყობს ზედაპირულ ფენებში დიდი ძაბვების გაჩენას, ციკვდავას, წრთობას, მიკროსისალის გაზრდას, მაგრამ ძირითადი გავლენა ხევისას ზედაპირის განმტკიცებაზე მაინც ჭრის სიღრმეს ეკუთვნის. მცირე, საშუალო და მაღალწარმოებლობაზე ფოლალებზე (ფლ 15, 50 და № 10), აგრეთვე

ნაწრთობ ფოლად № 10-ზე ჩატარებულმა ცდებმა (ციკვებით თუ გასაცივებელი სითხის გარეშე, მაგიდის მაქსიმალური თუ მინიმალური მიწოდების სიდიდით) დადასტურა, რომ ხევისას ჭრის სიღრმის გადიდებით სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სიდიდით, მაგრამ ყოველთვის იზრდება დამუშავებული ზედაპირის ციკვდვის ხარისხი და ზედაპირის სიმტკიცე. თეორიულად ეს საკითხი საკმაოდ გარკვეულია, მაგრამ ბევრ საწარმოებში ჭრის რეჟიმით არ დანერგავა. სამწუხაროდ, წარმოების ხელმძღვანელები ამ მნიშვნელოვან საკითხს არ აქცევენ ჭეშოვან ყურადღებას.

ჩვენს რესპუბლიკაში ფოლადის მრავალი შრომატევადი და მნიშვნელოვანი დეტალი (მუხლა ლილვები, განამტკიცებელი ლილვები, შპინდლები და სხვ.) დამზადებისა და გარემონტებისას გადის ხევის საბოლოო პროცესს. მათ მოეთხოვებათ მაღალი ცვეთამდეგობა და დალილობითი სიმტკიცე, რასაც აღწევნა რთული, სპეციალური „განამტკიცებელი ტექნოლოგიით“. ზოგჯერ ტექნოლოგიის გამარტივების მიზნით უშვებენ შედარებით დაბალ ზედაპირულ სიმტკიცეს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მექანიზმების მუშაობის ხანგრძლივობაზე. ეფექტურ ღონისძიებად უნდა ჩაითვალოს საწარმოების პირაობებში თითოეულ ასეთ მნიშვნელოვან დეტალზე კონკრეტული ცდების ჩატარება და სათანადო ჭრის რეჟიმის, კერძოდ ჭრის ოპტიმალური სიღრმის, დადგენა, რაც დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ხარისხობრივი და ეკონომიური ეფექტი მნიშვნელოვანი იქნება, განსაკუთრებით მსხვილ სერიულ და მასობრივ საწარმოებში.

ცდებმა გამოარკვია, რომ დეტალების ზედაპირული ფენის ცვეთამდეგობაზე, დალილობითი სიმტკიცისა და დეტალების მუშაობის ხანგრძლივობაზე გავლენას ახდენს ჭრის რეჟიმები არა მარტო ხევისას, არამედ ლითონების ჭრით დამუშავების სხვა შემთხვევაშიც (რაციონალური ჭრის რეჟიმის პარამეტრების სათანადო შერჩევა). ეს რეჟიმები ამავე დროს მაღალმწარმოებლური და რენტაბელურია, დაახლოებით ისეთივე, როგორც ხევის დამუშავებისას.

დასამუშავებელი ლითონების ზედაპირების განმტკიცების მიზნით ცდების ჩატარება და ოპტიმალური ჭრის რეჟიმების დადგენა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვია. მისი გამოყენებით შეიძლება შრომისნაყოფიერებისა და მაქსიმალური ნაწილების ცვეთამდეგობის გაზრდა მიმდინარე შეიღწიანი გეგმის გადაზე ადრე შესრულებისათვის.

პლაზმის დიაგნოსტიკა

„რატო იშრომებენ ჩვენი მეცნიერები მოხვალ პერიოდში? ეს იქნება უწინარეს ყოვლისა საშარბო თერმიატომულის რეაქციების დაუფლება ენერგიის პრაქტიკულად უსაზღვრო წყაროს მიღების მიზნით...“

ნ. ს. ხრეშოვის მოხსენებიდან „სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონკრეტო ციფრების შესახებ“ სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობაზე.

ს. ლუკინი

ლენინური პრემიის ლაურეატი, პროფესორი, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორი

ნაზ. ს. კაკლავისა

ბირთვული სინთეზი

ეს შეიძლება საოცრად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენი ცნობები სამყაროში ყველაზე გავრცელებული ნივთიერების შესახებ ფრიალ ღარიბია. საქმე ისაა, რომ ნივთიერება, რომლის შესახებაც ვსაუბრობთ, სამყაროში თუმცა მეტად უხვადაა, მაგრამ დედამიწაზე იგი არ არსებობს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, აღმოჩენები ახლახან იწყებენ მისი წარმოების შესწავლას.

თქვენ ახლაც ვერ მიხვდით, თუ რა ნივთიერებაა იგი.*

ესაა მთლიანად იონიზებული და უზარმაზარ ტემპერატურამდე გავრავრებული წყალბადის პლაზმა — ატომური ბირთვებისა და ელექტრონების ნარევი. გალაქტიკის ნივთიერებათა ძირითადი ნაწილი თავმოყრილია ვარსკვლავებში. ხოლო ვარსკვლავთა შიგან არეები, მათ შორის ჩვენი მზისაც, წყალბადის პლაზმა საგან შედგება. ვარსკვლავთა წიაღში გაბატონებული ტემპერატურა ათეულ მილიონობით გრადუსს აღწევს. იქ წვევაც უზარმაზარია. ცხადია, რომ ვარსკვლავის ნივთიერების დამზადება არცთუ ისე იოლია დედამიწაზე.

მაგრამ რატომ უნდა დავამზადოთ იგი საერთოდ, რატომ უნდა შევისწავლოთ მისი თვისებები?

დაწვრილებითი თხრობა ჩვენ მეტად შორს წაგვიყვანდა. ამჟამად საკმარისი იქნება მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ათეული მილიონობით გრადუსი ტემპერატურის დროს ვარსკვლავებზე მიმდინარეობს ატომური ბირთვების შერწყმის რეაქცია, ხოლო ამას თან სდევს უზარმაზარი ენერგიის გამოყოფა. მსგავსად იმისა, როგორც ნახშირის დაწვისას ნახშირბადისა და ჟანგბადის ატომები შეერთებისას გამოყოფენ სითბოს და წარმოქმნიან ნახშირორჟანგის მტკიცე მოლეკულას. ისე მზის სიღრმეებში მიმდინარეობს შეერთება, მაგრამ არა ატომებისა, არამედ წყალბადის ბირთვებისა — პროტონებისა ჰელიუმის* მდგომარეობაში. პირველ შემთხვევაში ქიმიური ენერგია გარდაიქმნება სითბოდ, რომელიც საწვავშია მომარაგებული, ხოლო მეორე შემთხვევაში თავისუფლდება უსაზღვროდ დიდი ბირთვული ენერგია.

ქიმიური საწვავის — ნახშირის, ნავთობის, ტორფის მარაგი დედამიწაზე მეტად დიდია, ასევე დიდია მარაგი ურანისა, რომლის ბირთვული

დაყოფის ენერგია გამოიყენება ატომური ელექტროსადგურებში. ვიმეორებთ, რომ ეს მარაგი დიდია, მაგრამ ის უსაზღვრო როდია. მსოფლიოში ენერგიის თანამედროვე მოხმარების მძაფრი გადიდების დროს ის საკმარისი იქნება მხოლოდ რამდენიმე ასეული წლისათვის. ხოლო შემდეგ? პერსპექტივა მზარდი ეკონომიური შიმშილისა, ცივილიზაციის დასასრულისა? რასაკვირველია, არა!

არსებობს ამ საშუაშროების გადასალახად რამდენიმე შესაძლო გზა და მათ შორისაა ბირთვული სინთეზის გამოყენების გზა, ე. ი. დედამიწის ბირთვებში რეაქციისა იმ პროცესებისა, რომლებიც მიმდინარეობს ვარსკვლავთა სიღრმეებში, — შესაძლოა უმეტესად რადიკალური. სწორედ ამიტომ მთელი მსოფლიოს ფიზიკოსები ცოტა ენერგიას როდი ხარკავენ მაღალტემპერატურული პლაზმის შექმნისა და მისი თვისებების შესწავლისათვის და, მამასადავ, ჩვენი დროის ტექნიკური ფიზიკის ერთ-ერთი დიდი ამოცანის გადაწყვეტისათვის.

გადაწყვეტი წარმატება ამ დარგში, როგორც ეს ცხადია ახლა, ძიების დაწყებიდან 7-8 წლის შემდეგ, არ შეიძლება წარმოიქმნას რალად მოულოდნელი ბრწყინვალე მიხედვ-

* ზუსტად რომ ვთქვათ, ჰელიუმის ბირთვი წარმოიქმნება არა უშუალოდ პროტონების დაჯახებისას, არამედ ბირთვული რეაქციების მთელი ჯგუფის შედეგად.



პლაზმის ძირითადი მახასიათებლები

რით, რომელიც უკუგაღდეს ყველა წინა წარმოდგენებს, საჭირო იქნება სწავლულთა ხანგრძლივი, ადაბულო და სისტემატური მუშაობა ლაბორატორიებსა და გამოსათვლელ ბიუროებში, რათა რთულ და ფაქიზ ექსპერიმენტთა შედეგები გარდაქმნეს სინთეზის მოქმედ რეაქტორებად — თერმობირთვულ დანადგარებად. ეს მომავალში. ამჟამად კი ჩვენი ცოდნა ამ დარგში ჭერ კიდევ იმდენად შეზღუდულია, რომ ერთ-ერთ ცენტრალურ ამოცანას წარმოადგენს ცნობების დაგროვება გახურებული პლაზმის ქცევის შესახებ ექსპერიმენტულ დანადგარებში — თერმობირთვულ რეაქტორთა პირველსაფეხებში.

ამ სტატიაში საუბარი იქნება პლაზმის გამოცვლევის ზერებზე. საკითხი პლაზმის მიღების, გახურებისა და შენახვის შესახებ — უფრო ზედა მნიშვნელოვანი — მოითხოვს ცალკეულ განხილვას.

ნახ. 1. ამ ნახ-ის ზედა ნაწილში სქემატურადაა გამარტებული მათი წყალბადის ბაზონი სექტრის წარმოქმნა. ბირთვიდან არაერთნაირად დაშორებული ორბიტიდან ელექტრონების გაღატომებისას წარმოიქმნება სხვადასხვა ფერის სექტრული ხაზები. მათი სახითაა მიხედვით შეიძლება აირის ტემპერატურის განსაზღვრა.

ტემპერატურის აწევის დროს ატომები კარგავს თავის ელექტრონებს. წარმოიქმნება პლაზმა და იგი უკვე არ იძლევა სექტრულ ხაზებს. ეს ნაწევრება ნახ-ის შუა ნაწილში.

როგორღა გავიგოთ ტემპერატურა იხეით პლაზმისა, რომელიც ცხელია, მაგრამ არ უშვებს სექტრულ ხაზებს?


დახდეთ ნახ-ის ქვედა ნაწილს. პლაზმის ემატება შენარჩუნს ატომები — იხეობი, რომლებიც მაღალ ტემპერატურაზე არ კარგავს ყველა თავის ელექტრონს და ამიტომ იძლევა სექტრული ხაზებს. ხელახლა წარმოქმნილი ხაზებით კი შესაძლებელ გახურებული ნივთიერების ხარისხზე.

ფოტოგრაფიებზე თქვენ ხედავთ შენარჩუნს სექტრის ერთსა და იმავე უბანს სხვადასხვა ტემპერატურების დროს. თხელი ხაზი შეესაბამება დაბალ, ხოლო ფართო — უფრო მაღალ ტემპერატურებს.

წინასწარ ერთი შენიშვნა. დღემის პირობებში სარგებლობად მიღებული თერმობირთვული რეაქციის მიღების ყველა ცდა წარმოებს არა ჩვეულებრივ წყალბადზე, რომელიც „იფიცის“ ვარსკლავებში, არამედ მის მძიმე. იზოტოპებზე — დეიტერიუმსა და ტრიტიუმზე ან მათ შენარჩუნზე.

გამოირკვა, თუმა ამ შემთხვევაში პირობები სინთეზის რეაქციის საკმაოდ ინტენსიური მიმდინარეობისათვის შედარებით ზედასაყრელად მუყობა.

ამრიგად, პლაზმის რომელი თვისებებია აუცილებლად შესასწავლი?





წყალბადის პლაზმაში სინთეზის ბირთვული რეაქცია რომ მიხდეს, პლაზმა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმარის ტენიონ უნდა იყოს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წყალბადის ბირთვებს აქვს ერთსახეიანი ელემენტური მუხტი და, მაშასადამე, ერთმანეთისაგან განიზიდებიან (ვაკიბ-სენთი ელნიონის კანონი, რომელსაც სკოლაში ასწავლიან). ამიტომ შედარებით დაბალ ტემპერატურებზე, როცა პლაზმის ნაწილაკები ნელა მოძრაობს, მათი კინეტიკური ენერგია არასაკმარის დიდი ხდება განიზიდვის ელექტრული ძალების გადალახვისათვის. ბირთვების დაახლოლება ისეთ მანძილზე, როცა მოქმედებს იწყებს მშალავი მიზიდველი ბირთვული ძალები, რომელთა ბირთვების შერწყმა მოყვება, ცივ პლაზმაში პრაქტიკულად შეუძენეველია. ამრიგად, პლაზმის ტემპერატურა განისაზღვრავს სიდიდეს, რომელიც მისაწვდომებს მის ქვეეს. პლაზმას თერმოდინამიკური ანუ თერმული ენერგია უნდა «გაუყვითლოს». მაგრამ ეს არცთუ სარგებელია, როგორც შეიძლება პირველი შეხედვით მოგვიჩვენოს.

ვიდრე რეაქტორის შეგნით მოთავსებული ბირთვული სიწვევი რეაგირებას მოასწრებს, უნდა გავიფიქროს სკამები ღრთ. ამ ხნის განმავლობაში პლაზმა "ვალდებულია" თუნდაც ნაწილობრივ შეინარჩუნოს თავდაპირველი ფორმა და, რაც ზოგადაა, ან უნდა შეეხოს რეაქტორის კედლებს. აკი არ არსებობს ისეთი ბუნებრივი ან ხელოვნური მასალა, რომელიც ათი მილიონობით გრადუს სიცხეს გაუძლებდა. ამიტომ ნებისმიერ ექსპერიმენტულ თერმობირთვულ რეაქტორში გამოიყენება თვალის უხილავი ზღუდე მძლავრი მაგნიტური ველისაგან, რომელიც წინ აღუდგება პლაზმის ნაწილაკებს კამერის კედლებთან მისასვლელად. სამწუხაროდ, მაგნიტური ზღუდე ჰერმეტიკული არაა. აქამდე აგებული ყველა სისტემა ამ მხრივ უფრო მოგვაგონებს სახერცემბოებს ცხვას, ვიდრე მჭიდროდ დაკეცილ ბითოს.

ამასთან, პლაზმა მერისმეტად არა-
მდგარალი, ამიტომ აუცილებელია
მეტად ყურადღებით ვაღვწიოთ თვა-
ლი რაქტორის შიგნით პლაზმის
ფორმის ყველა ცვლილებას. ხშირად
საწყის მდგომარეობაში პლაზმა
აქვს წყვილი, სწორი ცილინდრის ან
კუბის ფორმა, მაგრამ შემდეგ იგი
ჩნდება გრძეხას, ლუნვას, ვაბერვას,
შეიქმნება არანაებლებ უხეშარად,
მედურ ამას ავეთება პითონი კაა
კოლინგისეული "მთუგლიდან" თ
ვისი ეკვის ღრღის მოხიზილული მა-
ინუნების ხროვის წინ. მხოლოდ
პლაზმის ეკეა მილიონჯერ სწრა-
ფი. ცხადია, ზესწრაფი კონოვად-
ლების გარეშე ყოველივე ამის და-
კრევაბა შეუძლებელია.

ბოლოს უნდა ვიცოდეთ პლაზმის სიმკვრივე, სეკლ დე მანჩერ პლაზმაში ფიზიკური პროცესები ხომ სხვანაირად არ მიმდინარეობს, იგი სხვადასხვაგვარად თმება, რჩება, დეფორმირდება, ურთაქმედებს გარემომცველ მაგნიტურ ველთან. მოცემულ ტემპერატურაზე რა უფრო მეტია პლაზმის სიმკვრივე, მით უფრო მეტია მისი წნევა. ამიტომ სიმკვრივის ან წნევის გაზომვა უნდა შეეფასოს იმ სინდარტული პროცედურების აუცილებელ ნაერებში, რომლებიც დაკავშირებულია პლაზმის დიაგნოსტიკასთან.

ასეთია პლაზმის მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც უნდა გამოვყოთ იქნეს იმ სამუშაოებში, რომლებიც მართალია სარგებულებელი თერმობირთვული რეაქციის განხორციელებაზე. მივემართებთ კიდევ, რომ მნიშვნელოვანი დახმარება აქ შეიძლება გაგვიწიოს ნეიტრონული ნაადრების გაზომვამ. საჩქისაა, რომ ელექტროლი მუხტის არმქონე ნაწილაკები — ნეიტრონები ბირთვული სინთეზის რეაქციაში (მძიმე წყალბადის ბირთვების შერ-

წყმის დროს) აუცილებლად გამოჩნდება. და სწორედ ამიტომ მას ინტონებს ანაგნოსტის მუხტი, ისინი არ განცდიან მავნე ბიური ძალის ზემოქმედებას, თავისუფლად გადიან პლაზმის მომპერ მაგნიტურ ველს და გარეთ გამოიჭედიან. მათი დავებისა და ვესწავლის შედეგად შეიძლება ვისწავლოთ, თუ როგორ მიმდინარეობს რეაქტორის შიგნით ბირთვული სინთეზის რეაქცია.

პლასმის ნეიტრონული გამოსხივება შემჩნეულია. მაგრამ გულახდილად უნდა თქვათ, მისმა შესწავლამ დღემდე უფრო მეტი ინტერმობიანა, ვიდრე სიხარული. ვერაგი ზუნება ერთი მოსალოდნელი მთელნის ნაცვლად ფიზიკოსებს აჩენება სასესიები სხვა, მაგრამ ერთი შეხედვით მისადმი გასაოცრად მაგვას მოვლენა. თვით ყველაზე მოსმსმვერტელმა, სკეპტიკურად განწყობილმა სწავლელებმა დაუშვეს ზოგჯერ შეცდომები და სასურველი განხორციელებულად მიიჩნიეს. როგორც ჩანს, უმრავლეს შემთხვევაში ნეიტრონებს, რომლებიც ბუნებიდან გამოტყორცნება და დღემდე უშეიმჩნევა, ათათემობიორთვეული წარმოშობა აქვთ. მეტად მთავრა ჯერ კიდევ ტემპერატურა. მათი წარმოქმნა დაკავშირებულია სხვა პროცესებთან, რომელთა შესახებაც ჩვენ ამჟამად არ ვსაუბრობთ.

პლასმის მახასიათებელი სიდიდეები, ათქმა უნდა, გაყინული, უჩრავი არაა. ისინი იცვლებიან, ცხოვრობენ დროში. ამიტომ ყველა სარგისტრებამელი ხელსაწყო და ინსტრუმენტი უნდა იყოს საკმაოდ მეტირე ინერტიული, რომ სწრაფად და შეუცდომოდ გადასცეს მთელი მიმდებელი ინფორმაცია.

როგორ ხდება ეს?

სინათლის სხივი თერმობეზრის როლში

თერმობირთვული რეაქტორის შიგნით ტემპერატურის უშუალო გაზომვა რთულ საქმეს წარმოადგენს.

ნებისმიერი ჩვეულებრივი თერაპეუტი, რომელიც შეეხება პლაზმას, გახურებულს ჩვენთვის საინტერესო

ტემპერატურამდე, მყისვე გადაქცევა ორთქლად, რომელიც გააქუქუყიანებს და გააცივებს პლაზმას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, იმის მაგივრად, რომ გავზომოთ პლაზმის ტემპერატურა, ჩვენ მას გავუყუთებთ ცივ კომპრესს. წარმატებისათვის შეუდარებლად დიდ შესაძლებლობას გვპირდება ტემპერატურის გაზომვათა ოპტიკური ხერხების, კერძოდ დოპლერის ცნობილი ეფექტის, გამოყენება. საქმის არსი მეტად მარტივია, თუ ბგერის (მაგალითად, ლოკომოტივის სასტეკნი) წყარო სწრაფად გვიახლოვდება, მაშინ ჩვენ უფრო ყოველ წამში გადის მეტი რხევა, ვიდრე იმ შემთხვევაში, როცა ბგერის წყარო უძრავია. შებრუნებითი სურათი მიიღება ბგერის წყაროს დაშორების დროს. მაგრამ რხევათა რიცხვი განსაზღვრავს ტონის სიმაღლეს. ამიტომ, ვუბრუნდებით რა მოყვანილ მაგალითს, აღვიღოთ ავსტრიის სასტეკნის ტონის მეკეთრ დაწვეას, როცა მატარებელი გაივლის ჩვენიან ახლოს და ბგერის წყაროსთან მიახლოება იცვლება მისგან დაშორებამდე. საესტეკნი ასეთივე მოვლენა მიიღება ოპტიკაშიც. როცა სინათლის წყარო ჩვენ გვიახლოვდება, სინათლის რხევათა სიხშირე იზრდება და სხივის შეფერილობაში გამოჩნდება „იისფერი“ გადაადგილება“ (იისფერი სხივები რხევის მეტი რიცხვით ხასიათდება, ვიდრე წითელი სხივები). ამრიგად, სინათლის სხივის შეფერილობის ცვლილება გვიჩვენებს წყაროს მოძრაობის ცვლილებას ჩვენგან ან ჩვენგან: „გაწითლება“ დაშორების ნიშანია, „გაღურჯება“ — მიახლოების.

მაგრამ ყოველივე ამას რა კავშირი აქვს პლაზმის ტემპერატურასთან? უწინარე, ყოვლისა, საჭიროა გავიხსენოთ, რომ სხვადასხვა ნივთიერებათა ატომები სინათლეს ასხივებს არა რხევითი უწყსრივო ნაკრების სახით, არამედ მკაცრად განსაზღვრული სიხშირის — და, მამასადავად, განსაზღვრული შეფერილობის სახით. გავიხსენოთ თუნდაც

ნეონის რეკლამის წითელი ჩირაღდანი ან ყვითელი ნათება ნატრიუმის ორთქლისა (საკმარისია ერთი ციკენა სუფრის მაროლი — ქლორინი ნატრიუმი — ჩავადვით აირის ნათურის ალში, რათა მივიღოთ ინტენსიური ყვითელი შეფერილობა). სახელდობრ, გამოსხივების ხასიათსა და გამოსასხივებელ ატომთა სახეობას შორის არსებულ მკაცრ შესატყვისობაზეა დაფუძნებული სპექტრული ანალიზი: ყოველი ატომი გამოუშვებს სპექტრული ხაზების მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ, ზუსტად განსაზღვრულ ნაკრებს. მაგრამ თუ ატომები სწრაფ მოძრაობაში იმყოფება, მაშინ, როგორც უკვე ითქვა, სიხშირეები იცვლება დოპლერის პრინციპთან სრულ შესატყვისობაში.

სინათლისათვის, რომელსაც წარმოქმნის დამკვირვებლისაკენ შესახედრად მსრბოლი ატომები, სიხშირეები მატულობს, იმ სინათლისათვის, რომელიც წარმოქმნილია ლტოლვილი ატომებისაგან. — კლდულადაა. მაგრამ ცხელ პლაზმაში ატომები მოძრაობს საესტეკნი უწყსრივად ყველა მიმართულებით. მაშასადამე, უნდა შეიმჩნეს ყოველგვარი სიხშირეები — უფრო დიდიც და პატარაც, ვიდრე ძირითადი, შემნილი უძრავი ატომებისაგან. ამიტომ თითოეული სპექტრული ხაზი, რომელიც განსაზღვრულ სიხშირეს პასუხობს, უნდა გადაართქვას და გარდაიქმნეს მთლიან ზოლად. რაც მაღალია პლაზმის ტემპერატურა, რაც უფრო სწრაფად მოძრაობს ნაწილაკები, მით უფრო ფართოა სპექტრული ხაზები.

თერმომეტრი თითქოსდა მზადაა და მისი როლი შეიძლება გადაეცეს ჩვეულებრივ სპექტროგრაფს: საკმარისია გადავიღოთ ცხელი პლაზმის სპექტრის სურათი, გავზომოთ სპექტრული ხაზების სიგანე — და გაზომვათა შედეგებით გამოვიანგარიშოთ მისი ტემპერატურა. საშუაბაროდ, ეს ასე არაა. მილიონობით

გარდუსამდე გავარაგებული წყალბადის პლაზმა, თუმცა შეიძლება ეს დაუფერებლად მოგჩვენოთ, მაშინაც ცოტა სინათლეს უშვებს, ხოლო სინათლეს ცალკეული სპექტრული ხაზების სახით საესტეკნი არ იძლევა. რატომ? მაღალი ტემპერატურისას (პრაქტიკულად 10.000 გრადუსზე მაღალ) წყალბადის ყველა ატომი უელემენტარო აღმოჩნდება, ე. ი. იმყოფება იონიზებულ მდგომარეობაში. ამასობაში სპექტრული ხაზები წარმოიქმნება ატომის შიგნით ელემენტარონების გადასვლის შედეგად. როგორ მოვიქცეთ? ფიზიკოსებმა გამოიანგარაგეს გამოსავალი — წყალბადის ნეიტრონი სხვა აირი (ჰელიუმი, აზოტი, ნეონი), რომელიც გამოსაკლევი ტემპერატურებისას არ დაეარგავს თავის ყველა ელემენტარონს. მაშინ შესაძლებელი იქნება შესწავლა ხაზების გაფართოებისა, რომლებსაც წარმოქმნის შენარევის ატომები (ნახ. 1).

რასაკვირველია, ეს ხერხი არცთუ ისე კარგია. თვით გაზომვის პროცესით ჩვენ რამდენადმე ვაქუქუყიანებთ ნივთიერებას, რომელიც იდეალურად სუფთა უნდა იყოს. გარდა ამისა, ყოველთვის გვჩნდება ეჭვი იმის შესახებ, რომ ემთხვევა თუ არა წყალბადის ტემპერატურა შენარევის ტემპერატურას, როგორც არ უნდა იყოს. ეს ხერხი მაინც ყველაზე უკეთესია ცნობილ ხერხთა შორის. ექსპერიმენტული კონფერენციები საბჭოთა, ამერიკული და ინგლისელი ფიზიკოსები გულმოდგინედ ადარებდნენ თავიანთ ტემპერატურათა გაზომვებს, გაკეთებულს ოპტიკური ხერხით. ისინი მივიდნენ ერთსულოვან დასკვნამდე, რომ ადამიანად ჯერ კიდევ ვერც ერთ ექსპერიმენტში ვერ მოხერხდა დამტკიცება პლაზმის არსებობისა, რომელიც გახურებულია რამდენიმე მილიონ გრადუსზე მაღლა.

(დასაბუთო შედეგ ნომერში)





ჩინეთი

ახალი ჩინური ალაზკომობილი

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში შანხაის საავტომობილო ქარხანამ გამოიშვა საცდელი სამოტორიანი ელექტრომობილი, რომელზეც აკუმულატორიდან მიღებული დენით იკვებ-



ბა. ახალი ელექტრომობილის სახალი ნაწილისათვის გამოყენებულია მოტოციკლის ცალკეული კვანძები.

კარამიკალი ჩალსები

ჩინეთში ცველა ღონისძიებით ცდილობენ გასწორონ ლითონის კურონიზი. ამ მიზანს იბაზენ ის მუშაობა, რომელიც იზიანს პროცესის, ისინი მართის კერამიკის დასამუშავებელ საწარმოთა გამოგონებულმა შესრულებს: მათ დაამუშად კერამიკული რელსები, რომლითაც 700-მდე გზა გაიყვანეს. თითოეული კერამიკული რელსის სიგრძეა 60 სმ, წონა 7,5 კგ. მათ აკვებენ უშვალოდ.

60-გონიანი თვითმფლავი

მდინარე იანძინზე სანისის პილაროვანძის მშენებლობა, რომელიც თავის მასშტაბებით აკარბებს არა მარტო არსებულ, არამედ მშენებლობაში მყოფ და ასაგებად განზრახულ პილაროვანძებს ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მოითხოვს შეტად შტალერ ტექნიკას. საკუთლურად ამ მშენებლობისათვის პირველმა საავტომობილო ქარხანამ ჩინურში და ნაწი-

ნის ავტოქარხანამ დაიწყო 40 და 50 ტონა ტვირთმწოდის მქონე თვითმცლელის წარმოება. ამ გოლიათი მანქანების სიგრძე 12 მ-ია, სიგანე — 4,5 მ, ხოლო სიმაღლე 3 მ-ზე მეტი. თვითმცლელზე დაყენებული იქნება 500- და 650-ძალიანი ძრავები.

მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საავტომობილო მრეწველობა სულ რაღაც რამდენიმე წელია არსებობს, მარტო 1958 წელს დაპროექტებულ და აგებულ იქნა მსუბუქი, სატვირთო და საცუალური ავტომანქანების 200-ზე მეტი ახალი მოდელი. 40- და 60-ტონიანი თვითმცლელის შექმნით, რომელშიც გამოყენებული იქნება თანამედროვე მანქანათმშენებლობის, მეტალურგიის, ავტომატიკისა და ტექნიკის სხვა დარგების მიღწევები, ჩინეთის ავტომშენებლები ურთულო პირველ ადგილზე გამოდიან მსოფლიოში.

მეტად საინტერესო და დამახასიათებელია ახალი ჩინეთისათვის, რომ ურთულესი მანქანების შექმნაში დიდ როლს თამაშობს ახალგაზრდობა: თვითმცლელთა პროექტი შეადგინა

გერმანია

ავტომობილი „პარაზარი“

საავტომობილო მრეწველობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ისეა განვითარებული, რომ იგი მთლიანად აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას მანქანებზე. შედარებით ძველი კონსტრუქციის მანქანების წარმოება უკანასკნელ ხანებში თითქმის მთლიანად შეწყდა. მათ ადგილი დაუთმეს ახლადშექმნილ თანამედროვე ავტომობილებს, რომელთა ძარბე, შესები და ძრავა პასუხობს დღევანდელი ტექნიკის მოთხოვნილებებს.

ნეს ძილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის საავტომობილო ფაკულტეტის მშენებლებმა და მასწავლებლებმა შექმნილი საავტომობილო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლებთან ერთად.

პოლონეთი

ახალი მიკროლიზკარაჟიანი ავტომობილი

პოლონელმა კონსტრუქტორებმა მიკროლიტარაჟიანი ავტომობილის — „მიკრუს“ შემდეგ შექმნეს კიდევ ერთი ახალი მანქანა — „სმუკ“. იგი თავისი ზომებითა და წონით მნიშვნელოვნად პატარაა „მიკრუსთან“ შედარებით და უდგას ძრავა, რომლის ცილინდრების მოცულობაა 300 კუბური სმ. ძრავა მანქანის უკანა ნაწილშია მოთავსებული. ავტომობილი გაანგარიშებულია ორი მოზრდილი ადამიანისა და ორი ბავშვისათვის. „სმუკის“ ერთ-ერთი საინტერესო თვისება ისაა, რომ მას კარები წინ აქვს მოთავსებული და გაღებისას ქვემოთ ეშვება.

უოწნების საავტომობილო ქარხანა უშვებს „ვარტუბურის“ მარკის 9 სხვადასხვა ვარიანტის მცირელიტარაჟიანი ავტომობილებს.

„ვარტუბურზე“ დაყენებულია სამცილინდრიანი ორტაქტიანი ძრავა წყლის გაგრილებით. ცილინდრის მოცულობაა 900 კუბური სმ, სიმაღლე — 37 სმ. ძალა 400 ჰრ/წთ დროს, მაქსიმალური სიჩქარე საათში — 115 კმ. მანქანა აღჭურვილია ოთხსიჩქარიანი გადაცემათა კოლოფით (2-4 გადაცემა სინქრონიზებულია).



ნახევარგამტარები

ა. პაჩიშვილი

p-n გადასასვლელი გამტარებელი

როცა ნახევარგამტარი რომელიმე სხვა ნივთიერებას ეხება, ან როცა p და n ტიპის ნახევარგამტარები ეხება ერთმანეთს, მაშინ შეჩების ადგილას ამჩნევენ ბევრ ისეთ მოვლენას, რაც არ გვხვდება არც ლითონში, არც იზოლატორში.

ამ მოვლენებმა, რომლებიც დაცემიერებულია ნახევარგამტარში ე. წ. p-n გადასასვლელის წარმოშობასთან, დიდი ტექნოლოგიური გამოყენება პოვა. აღმოჩნდა, რომ p და n ტიპის ნახევარგამტარების შეხების საზღვარზე ისეთი პირობები იქმნება, რაც უზრუნველყოფს ნახევარგამტარში ცალმხრივ გამტარებულობას. ამ ნახევარგამტართა შეხების საზღვარზე ჩნდება ძლიერ თხელი ფენა, რომელიც ერთი მიმართულებით ათასჯერ უფრო დიდ დენს ატარებს, ვიდრე საწინააღმდეგო მიმართულებით. ამ ფენას ჩამკეტი ფენა ეწოდება.

ჩამკეტი ფენის წარმოშობის მექანიზმი ასე შეიძლება წარმოიდგინოთ: ყოველი კრისტალური სხეული, ყოველი ნახევარგამტარი ხასიათდება ელექტრონის გამოსვლის მუშაობის გარკვეული სიდიდით. თუ P და N ნახევარგამტარებს (ნახ. 1), რომელსაც სხვადასხვა გამოსვლის მუშაობა აქვს, ერთმანეთთან შეხებაში მოვიყვანთ, ელექტრონები გადასვლის დაიწყებს იმ ნახევარგამტარიდან, რომელსაც მცირე გამოსვლის მუშაობა აქვს, იმ ნახევარგამტარში,

რომელსაც დიდი გამოსვლის მუშაობა აქვს.

თუ P ნახევარგამტარს გამოსვლის მუშაობა მეტი აქვს, ვიდრე N ნახევარგამტარს, მაშინ ელექტრონები N ნახევარგამტარიდან გადავლენ P ნახევარგამტარში. ამას შედეგად მოყვება ამ ორი ნახევარგამტარის შეხების არეში, N ნახევარგამტარში დადებითად დამუხტული (a), ხოლო P ნახევარგამტარში—უარყოფითად დამუხტული (b) შრის გაჩენა. ამის გამო ამ ორი ნახევარგამტარის შეხების საზღვარზე წარმოიქმნება პოტენციალური ვეობი, რომელიც ხელს შეუშლის ელექტრონების გადასვლას N-დან P ნახევარგამტარში. ამ ფენას, ნახევარგამტარის სხვა ნაწილ-



ნახ. 1

თან შედარებით, დიდი წინააღმდეგობა აქვს, იგი ჩამკეტი ფენაა. ელექტრონების ერთი ნახევარგამტარიდან მეორეში გადასვლის გამო და იმის შედეგად, რომ შეხების ფენის ორივე მხარეს ჩნდება სხვადასხვა ნიშნით დამუხტული შრეები, წარმოიქმნება პოტენციალთა სხვაობა, რომელსაც პოტენციალთა კონტაქტურ სხვაობას უწოდებენ.

პოტენციალთა კონტაქტური სხვაობა წარმოიქმნება ყოველთვის, რო-

ცა გამოსვლის სხვადასხვა მუშაობის მქონე ორ სხეულს ერთმანეთთან ეხებაში მოვიყვანთ. მაგრამ ყოველთვის როდის ჩნდება ჩამკეტი ფენა.

მართლაც, ვთქვათ, n ტიპის ნახევარგამტარი ეხება რომელიმე ლითონს, რომელსაც გამოსვლის მუშაობა უფრო ნაკლები აქვს, ვიდრე ნახევარგამტარს. მაშინ ელექტრონების გარკვეული რაოდენობა გადავალითონიდან ნახევარგამტარში. მაგრამ, რადგანაც ლითონში თავისუფალი ელექტრონების რიცხვი ძალიან დიდია, ნახევარგამტარში გადასული ელექტრონების დანაკლისი ვერ გამოიწვევს ლითონში ელექტროწინააღმდეგობის გაზრდას. ნახევარგამტარში გადასული ელექტრონების შეუძლია გამოიწვიას ნახევარგამტარის წინააღმდეგობის შემცირება და სხვა არაფერი. ამგვარად, ამ შემთხვევაში ჩამკეტი ფენა არ წარმოიქმნება. ლითონისა და ნახევარგამტარის შეხებისას ჩამკეტი ფენა წარმოიქმნება იმ შემთხვევაში თუ:

1. ლითონი და n ტიპის ნახევარგამტარი ისეა შერჩეული, რომ ლითონიდან განისვლის მუშაობა ϕ მეტია, ვიდრე ნახევარგამტარიდან გამოსვლის მუშაობა ϕ_s : $\phi > \phi_s$.

2. ლითონი და p ტიპის ნახევარგამტარი ისეა შერჩეული, რომ ლითონიდან გამოსვლის მუშაობა ϕ ნაკლებია, ვიდრე ნახევარგამტარიდან გამოსვლის მუშაობა ϕ_s : $\phi < \phi_s$.

p და n ნახევარგამტარების შეხების საზღვარზე კი ჩამკეტი ფენა ყოველთვის ჩნდება.

ამ ფენას, რომელიც p და n ნახევარგამტარების საზღვარზე წარმოიქმნება, ეწოდება ელექტრონულ-

* დასასრული. იხ. ამეცნიერება და ტექნიკა, № 8, 9, 1959 წ.




ზერელური გადასასვლელი ან p-n გადასასვლელი. პრაქტიკულად p-n გადასასვლელი არ წარმოიქმნება p და n ნახევარგამტარების უბრალო შეხებით. ამას ხელს უშლის ის, რომ ნახევარგამტართა ზედაპირზე დარღვეულია კრისტალური მესერიის სტრუქტურა. დასერილია ზედაპირი და ბოლოს ძნელია განახორციელოთ ორი ნახევარგამტარის დიდი ზედაპირების მჭიდრო კონტაქტი. ამიტომ p-n გადასასვლელის შესაქმნელად მიმართავენ სხვა საშუალებებს. გვეცნით ზოგიერთ მათგანს:

ცნობილია, რომ ნახევარგამტარის გამტარუნარიანობის ხასიათი იცვლება ამისა და მისდებოთ, თუ რა მიწარეგია მასში შეტანილი. ასე, მაგალითად, თუ პერიოდული სისტემის III ჯგუფიდან კავებაში ან გერმანიუმში შევიტანთ რომელიმე ელემენტს, მაშინ p ტიპის ნახევარგამტარს მივიღებთ; V ჯგუფის ელემენტები იმავე ნახევარგამტარებს p ტიპის გამტარუნარიანობას ანიჭებს.

ამ თვისებების გამოყენებით შეიძლება რომელიმე ნახევარგამტარის ერთ ნაჭერში შექმნათ ორივე ტიპის გამტარუნარიანობა.

ამისათვის, მაგალითად, საჭმარისია ავიღოთ n ტიპის გერმანიუმი და მასში გარკვეულ სიღრმეზე შევიტანოთ რომელიმე ელემენტი III ჯგუფიდან. გერმანიუმის იმ ნაწილში, სადაც მიწარეგს შევიტანოთ, ზერელური გამტარებლობა გვექნება, მაშინ როდესაც გერმანიუმის დანარჩენ ნაწილში n ტიპის გამტარებლობასთან გვექნება საჭმე. ამ ორი არეს საზღვარზე წარმოიქმნება p-n გადასასვლელი. პრაქტიკულად ამას შემდეგნაირად ახორციელებენ: აიღებენ n ტიპის გერმანიუმის ნაჭერს, მასზე დადებენ ინდიუმს და ვაკუუმში ან რომელიმე ინერტული გაზის ატმოსფეროში გაახურებენ ისეთ ტემპერატურამდე, რომელიც გერმანიუმის დნობის წერტილზე (958°) დაბალია და ინდიუმის დნობის წერტილზე (155°) მაღალი. მაშინ გამდნარი ინდიუმი გერმანიუმთან შექმნის შედარდნას $Jn + Ge$. ინდიუმის ატო-

მები გერმანიუმში იწყებს დიფუზირებას და ამ არეში ქმნის ზერელურ გამტარებლობას (ნახ. 2).



ნახ. 2

ეს მეთოდი მარტივია, მაგრამ მას ნაკლებ აქვს: ჯერ ერთი, იგი შეიძლება გამოიყენონ მხოლოდ მონოკრისტალური ნახევარგამტარისათვის. ჩვეულებრივ დიდი ზომის მონოკრისტალების მიღება ძნელია. იგი დაკავშირებულია დიდ ტექნოლოგიურ სიმძნელებთან. მთელი რიგი იარაღებისათვის კი საჭიროა დიდი ზედაპირის მქონე ნახევარგამტარების დამზადება. მეორე მხრივ, ამ მეთოდით p-n გადასასვლელის დამზადებად საჭიროა ხელთ გვექონდეს მერად სუფთა ნახევარგამტარები. ამ უკანასკნელთა მისაღებად საჭიროა რთული და ძვირადღირებული პროცესების აწყობა.

არსებობს p-n გადასასვლელის მიღების სხვა მეთოდებიც. ასეთებია: **თერმული დიფუზიის მეთოდი**. ნახევარგამტარისაგან დამზადებული ფირფიტის ორივე მხარეს დააფენენ სხვადასხვა ნივთიერებებს, რომელთა ატომები შეტანს რა ნახევარგამ-


ტარში, ქმნის ერთ მხარეს n, ხოლო მეორე მხარეს p გამტარებლობას. ასე, მაგალითად, თუ გერმანიუმის

ფირფიტის ერთ მხარეს დააფენთ სტიბიუმს, ხოლო მეორე მხარეს — ინდიუმს და გავახურებთ, მაშინ სტიბიუმისა და ინდიუმის ატომები დიფუზიით შეიჭრება გერმანიუმში და შექმნიან ერთ მხარეს n, ხოლო მეორე მხარეს — p გამტარებლობას (ნახ. 3).

გაზური დიფუზიის მეთოდი. p ან n ტიპის ნახევარგამტარისაგან დამზადებულ ფირფიტას ათავსებენ კვარცის ამპულაში. შიგვე ათავსებენ იმ ნივთიერებას, რომლის ატომების შეყვანა სურთ ნახევარგამტარში. ამპულას, საიდანაც ამოტუმბავენ ჰაერს, თავს დაუხშობენ, მოათავსებენ ლუმენში და გაახურებენ. ნივთიერება, რომელიც ამპულაშია მოთავსებული, აორთქლდება და მისი ატომები დიფუზიით შეიჭრებიან ნახევარგამტარში. ამის შემდეგ ნახევარგამტარს ამპულიდან ამოიღებენ, ერთ მხარეს ჩამოხეხავენ ისე, რომ ჩამოაშრონ მიწარეგებიანი ფენა. მაშინ ასეთ ნახევარგამტარს ერთ ნაწილში ექნება p გამტარებლობა, ხოლო მეორე ნაწილში n გამტარებლობა. ამ ორი არეს საზღვარზე გვექნება p-n გადასასვლელი.

არსებობს p-n გადასასვლელის მიღების სხვა მეთოდებიც. ასეთებია: **ქიმიური მეთოდი**, ნახევარგამტარის დაყუჟმარება მაღალი ენერგიის მქონე ნაწილაკებით და სხვ.


როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ნახევარგამტარს, რომელშიც p-n გადასასვლელია შექმნილი, ცალმხრივი გამტარებლობა ახასიათებს: ერთი



ნახ. 3



მიმართულებით ატარებს დენს. ხოლო მეორე მიმართულებით — არცხადია, ასეთი ნახევარგამტარი შეიძლება გამოვიყენოთ როგორც გამძვარ-




ნახ. 4

თელი: თუ მასში ცვლად დენს გაატარებთ, იგი გაიმართება — მივიღებთ მუდმივ დენს.

დენის გამართვის მექანიზმი რომ უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ, მაგალითისათვის განვიხილოთ გერმანიუმში, რომელშიც $p-n$ გადასასვლელია შექმნილი (ნახ. 4). n გერმანიუმში ელექტრონების დიდი რაოდენობა გვაქვს. ისინი აქ მუხტის ძირითადი მატარებლებია. p გერმანიუმში კი გვაქვს ელექტრონების ნაკლები რაოდენობა, რომლებიც მუხტის ძირითადი მატარებლები არ არიან. ამიტომ დამოკიდებულია ელექტრონების გადასვლა n გერმანიუმიდან p გერმანიუმში. ამის შედეგად ჩამკეტი ფე-

ნაში, n გერმანიუმის მხარეს, დაგვაკლდება ელექტრონები (გაჩნდება დადებითი მუხტების სიჭარბე). ხოლო p გერმანიუმში ზედმეტი ელექტრონები აღმოჩნდება (გაჩნდება უარყოფითი მუხტების სიჭარბე).

ამავე დროს p გერმანიუმიდან დამოკიდებულია „ხვრელებია“ დიფუზია n გერმანიუმისაკენ. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ჩამკეტი ფენაში ელექტრონების სიჭარბეს p გერმანიუმის მხარეს და დადებითი მუხტების სიჭარბეს n გერმანიუმის მხარეს. ჩამკეტი ფენაში სხვადასხვა ნიშნის მქონე მუხტების დაგროვება წარმოქმნის



ნახ. 6


პოტენციალითა კონტაქტორ სხვაობას. მიმართულს n გერმანიუმიდან p გერმანიუმისაკენ. ეს ხელს შეუშლის შემდგომში დადებითი მუხტების გადასვლას n გერმანიუმისაკენ, ხოლო უარყოფითი მუხტების გადასვლას p გერმანიუმისაკენ. გაიზრდება რაღაც პოტენციალური ჯებირი, რომლის გადალახვაც დასჭირდება მუხტებს ერთი მხარეიდან მეორეში გადასასვლელად (ნახ. 5)

თუ ასეთ სისტემას — n გერმანიუმი — ჩამკეტი ფენა — p გერმანიუმი — ჩაერთოთ ელექტრულ წრეში ის, რომ დადებითი პოლუსს მიუერთებთ n გერმანიუმს, ხოლო უარყოფითი პოლუსს — p გერმანიუმს (ნახ. 6), მაშინ კრისტალზე გარედან

ნის გაფართოება და მისი წინააღმდეგობა გაიზრდება.

ახლა შევცვალოთ კრისტალზე გარედან მოღებულ ველის მიმართულება (ნახ. 7). ე. ი. n გერმანიუმს პოვლით უარყოფითი პოლუსი, ხოლო p გერმანიუმს — დადებითი. ამ შემთხვევაში კრისტალზე გარედან მოღებულ ველს ექნება კრისტალის შიგნით არსებულ ველის საწინააღმდეგო მიმართულება. ამის გამო ჩამკეტი ფენა ძალზე დავიწროვდება. მისი წინააღმდეგობა პრაქტიკულად ნულის ტოლი გახდება და კრისტალში დენი თავისუფლად გაივლის.


ცხადია, თუ ასეთ სისტემას — n გერმანიუმი — ჩამკეტი ფენა — p გერმანიუმი — ჩაერთოთ ცვლა-



ნახ. 7




ნახ. 8



ნახ. 7

თხევადი ლითონის დონის საზომი ИУ-3

ამ ზელსაწყის მუშაობის პრინციპი ასეთია:
ლითონში γ სხივების შთანთქმის შედეგად




პრიცეპულზე დროის ერთეულში მოხვედრი-
ყ ნაყალი და, მამასადაჟე, მრიცხველის სა-
შუალო დენი, დამოკიდებულია ლითონის დო-
ნისაგან (გაზომვის ზონაში). ამ დამოკიდუ-
ბულებას პრაქტიკულად სწორბაზოიანი ხასი-
თი აქვს. გაზომვის ზონის სიგანე, რომელიც
მრიცხველის სივრცის ტოლია, უდრის 150
მმ-ს, ხოლო გაზომვის სიზუსტე 5-10 მმ-ის
ზღვრებში მდებარეობს.

დროის უნივერსალური გამომსახურელი


ამას წინათ ტაშენების გზის ინჟინერმა
ნ. მირონოვმა დაამზადა საათი-კალენდარი,
რომელიც უჩვენებს არა მარტო დროს, არა-

მედ თვეს, რიცხვს და კვირის დღეს. ის აწყო-
ბილია ძველი დიდი საათის ბუდეში. ზუბტად
შუალამისას, როგორც კი გაისმის ზირველი
რკვეა, კალენდრის სატკმელში იცვლება რიც-
ხვი და დღის სახელწოდება. ოგის სახელწო-
დება კი იცვლება შუალამისას 28, 30 და 31
რიცხვებში. სხვადასხვა რაოდენობის დღეებზე
გასწორება ხდება ავტომატურად.



კონსტრუქციის კაბ-1

კონტინერი განკუთვნილია სამკურნალო
დაწესებულებებში გამოყენებული რადიოაქ-



ტორი პრეპარატებიანი აპლიკატორების და
ნეუსების ტრანსპორტირებისა და შენახვისა-
ლის.


კონტინერი წარმოადგენს თუჯის სქელ-
კელან ბურტვლს, რომლის 196 უჯრედში
თავსდება რადიოაქტური პრეპარატებიანი
პენალები. ეს უჯრედები ყოველმარე ცერანა-
რებულია მასიური კედლებით.



ელექტროგაზარეული შენახვის ფოლადისავე

ავსტრალიაში ექსპლუატაციაშია გაშვებული ათაგონიანი ელექტრომატარებელი, რომელიც უფანავი ფოლადისაგანა დაზადებული. მატარებელი შედგება 2 მოტორიანი და 3 მისამართი ვაგონისაგან. თითოეული ვაგონის სიგრძეა 19,85 მ.

მოტორიან ვაგონში მგზავრებისათვის 52 ადგილი, ხოლო მისამართში — 64. კედლისა და კერის პანელები მოპირკეთებულია ალუმინის თხელი ფურცლებით. იატაკი და ფარულია რკინის შემადგენლობისაგან, რომელზეც სალონებში დაგებულია ლინოლეუმი.



ში, ხოლო ტამბურში — პლასტიკის ფილები. ახალი მატარებლის ვაგონები მტკიცე, მსუბუქი და ლამაზი შესახედაობისაა.

ელექტროლი პენარგონი პროექტი პენარგონი


უკანასკნელ ხანებში სპეციალისტთა უკანდავლა მიიქცია პრესაში გამოქვეყნებულმა ცნობამ ელექტრული ენერგიის ატომური გენერატორის შესახებ. ამ გენერატორის სიმძლავრეა 5 ვატ. იგი პატარა ზომისაა (დიამეტრი — 11,8 სმ, წონა — 2,3 კგ) და განუწყვეტილად შეუძლია მუშაობა ერთი წლის განმავლობაში. თუ ისეთი რაოდენობის ენერგიის მისაღებად, რომელსაც გენერატორი მოკვდის, გამოვიყენებთ მზარდ ბატარეებს, მაშინ საერთო წონა 650 კგ-ზე მეტი იქნებოდა.

ამ გენერატორის მოქმედების პრინციპი ისაა, რომ რადიოაქტიური ნივთიერებები დაშლისა გამოყოფს სითბოს, რომელიც თერმოქვეყნების მეშვეობით ელექტრულ

ენერგიად გარდაქმნება. მოხმარებული სითბოს მარტივ კოეფიციენტი 8-10%.

გენერატორი ორი ნაწილისაგან შედგება. ერთ-ერთი მათგანი კონტეინერია, რომელშიც მოთავსებულია 0,75 გ რადიოაქტიური პოლონიუმი, რომელიც ახურებს კონტეინერს.

გენერატორის მეორე ნაწილი შედგება რიგი თერმოქვეყნებისაგან, რომელთა ნარჩილი მთავარია პოლინიუმიან კონტეინერთან. ელექტრული დენი აიღება უკველა თერ-



მოქვეყნების საერთო კონტაქტებიდან. ეს დენი გამოიყენება პატარა ხრახნის ასამორავებად და ვარკების ნათურების კვებისათვის.

ცნობაში მითითებულია აგრეთვე, რომ ახეთი მცირეგაბარიტის კვების წყაროები გამოიყენება ზელოვნურ თანამგზავრებში, ავტომატურ მენეჯეროლოგიურ სადგურებში, რადიოშუქურებში და ა. შ.

ახალი შიპის სპრეპირი

ფირმა — „ლექტურა“ (კანადა) ააგო 30 მ სიგრძისა და 130 ტ ტვირთაწონის სპრეპირის მატარებელი, რომელიც შედგება თვლიანი საწვავრისა და ორი სპრეპირისაგან.

როგორც უფრო „როდუნდ ენდ ენინი-რინგ კონსტრუქტ“ (1959, № 1) იუწყება, სპრეპირის მატარებლის უკველა რვა თვლიანი საწვავრია; თითოეული მათგანი მოძრაობაში მოდის ცალკეული ელექტრომძრავით. საწვავრზე დამონტაჟებულია 600 ცხ. ძალიანი ორი დინამო; მათ მოძრაობაში მოყვით მუდმივი დენის გენერატორები, რომლებიც კვებავს აგრეთვე როგორც წვეთ, ისე აგრეთვე დამხმარე ელექტრომძრავებს. მართვის სისტემა ლილვანია. მატარებელს მართავს ერთი კაცი.

პლასტიკური მასალა „რეზინი“

აღმდეგობა“ თითქმის ყოველ ნაბიჯზე იყენებენ.

ტერმინი „გამძლეობა“ გულისხმობს ზანგრძლივი დროის ფაქ-
ტორს. „წინააღმდეგობა“ კი უფრო ზოგადი ტერმინია, რომელიც ერთნა-
რად კარგად ეფუძნება შემდეგი გამოთქმების შინაარსს დამოუკიდებლ წი-
ნადას, ზანგრძლივი წინააღმდეგობა და სხვ. ქართულად რამდენადმე
უსტატელოა „დროებითი გამძლეობა“ ან „ზანგრძლივი გამძლეობა“;
პირველი გამოთქმა წინააღმდეგობა, მეორე — ზღმდებლობა შეი-
ცავს, რადგან გამძლეობა თვითონ გულისხმობს ზანგრძელ წინააღმდეგ-
ობას.

ამრიგად, „წინააღმდეგობა“ და „გამძლეობა“ შორის არის რაღაც
ნიუანსი, რომელიც გვიყარნახებს, რომ საჭიროა შევჩერდეთ უფრო
ზოგად ტერმინზე — „წინააღმდეგობა“, ხოლო გამძლეობაში ეფუძვლის
„ზანგრძლივი წინააღმდეგობა“.

ნაგებობათა ანგარიშის ახალ, ზღვრულ მდგომარეობათა მეთოდ-
ზე გადასვლასთან დაკავშირებით ძველი გამოთქმა „მასალათა გამ-
ძლეობა“ პირდაპირ წინააღმდეგობად იქცა. ახლა მასალათა ძირითად
შექანიერ მახასიათებლად მიჩნეული ნორმატიული წინააღმდეგობა; ასე-
ვე, ანგარიშის დროს ყოველ ნაბიჯზე გვხვდება საანგარიშო წინააღმდეგ-
ობა. ამას გარდა, დღემდეც და ახლაც ვიყენებთ გამოთქმებს: მასალის

ღრუბრითი წინააღმდეგობა (სიმტკიცის ზღვარი), მასალის ზანგრძლივი
წინააღმდეგობა, კეთილი წინააღმდეგობის მომენტი და სხვ. ყველა თანამედროვე
ნორმატიულ დოკუმენტებში **сопротивление** ანტიმური ტერმინია
და მას ქართულ ენაზე შინაარსობრივად შესატყვისი სინონიმი, ჯვენი
აზრით, „წინააღმდეგობა“, უნდა ჰქონდეს.

რამდენიმე წლის წინათ პროფ. კ. ზაქარიას წიგნი „сопротивление
сооружений“ ქართულად ითარგმნა „ნაგებობათა წინააღმდეგობა“.

„მასალათა წინააღმდეგობა“ „ნაგებობათა წინააღმდეგობის“, ასე ვთქვათ, ნა-
წილია, რადგან სწავლობს ნაგებობათა ელემენტების წინააღმდეგობას, სა-
კითხავია, რატიმ გამოიყენებთ ერთ შემთხვევაში „წინააღმდეგობა“ და
მეორე შემთხვევაში „გამძლეობა“?

გამძლეობა უფრო შესაბამისია რუსულ **выносливость-ს**,
ვიდრე **сопротивление-ს** (ასეა სწორედ ახალ ტექნიკურ ტერმინო-
ლოგიაში).

ერთიანს ქართულ ენაზე იყენებდნენ „მასალათა სიქიქეს“. შემ-
დეგში „სიქიქე“ უფრო ნაყლებად მისაღები აღმოჩნდა, ვიდრე „გამ-
ძლეობა“ და ზანგრძელან გამოიყენა ჯვენი აზრით, ახლა იგვემ ხედა
ევია „გამძლეობა“.

დაბოლოს, ყურადღების დროსა აგრეთვე შემიძლია გარემოებათა
ახალგაზრდებისათვის, რომლებიც ამა თუ იმ შექანიერულ დისციპ-
ლინის შესწავლის იწყებენ, არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას: აქვთ
თუ არა მათ წარმოდგენა შესწავლილ დისციპლინის შინაარსზე; რა
კავშირშია ეს დისციპლინა იმ საგნებთან, რაც მათთვის ცნობილია
საშუალო სასწავლებლიდან (ან პრაქტიკიდან). მასალათა „წინააღმდეგობის“
გამოყენებისას ახალგაზრდობას საშუალება ეძლევა წამოიღდგინოს,
რომ ეს დისციპლინა ნაწილია, ანდა მისი ცალკე დარგი, ხოლო „მასა-
ლათა გამძლეობა“ ამის ორიენტაციის საშუალებას არ იძლევა.

ტერმინების უნიფიკაცია იხვევა საჭიროა, როგორც კონსტრუქ-
ციებისა და ანგარიშის მეთოდებისა. იცვლება მეთოდები, მით უკე-
რეს შეიცვლება ცალკეული ტერმინებიც. ტერმინების სრულყოფა,
დონუსტება, მათი დახვეწა ყოველთვის გამართლებულია.

ბრანსურალი



პროფესორი პ. გომორიძე

ტრანსურალი ელემენტები, ანუ ტრანსურანიდები, ბირთვული რეაქციებით მიღებული ხელოვნური ელემენტებია. ასეთი სახელი ამ ელემენტებს იმტომ უწოდეს, რომ მათი რიგითი ნომერი აღემატება ურანის რიგით ნომერს.

ატომის ბირთვების აღნაგობისა და თვისებების შესწავლის საფუძველზე მეცნიერები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ბუნებაში ზოგი ელემენტის ატომოვნობის მიხედვით მათ არაადგარიდებამია. ამიტომ მძიმე ელემენტების მიღება შესაძლებელია ხელოვნური ბირთვული რეაქციების ჩატარებით, ე. ი. სხვა ელემენტების გარდაქმნით. სწორედ ამ გზით შეძლეს ფიზიკოსებმა ტრანსურანიდების მიღება.

ეს იყო მეცნიერების დიდი მიღწევა, რად ჯერ კიდევ არ შეიძლება ჩაითვალოს დასრულებულად. იგი აყენებს საკითხს მაღალი რიგითი ნომრის მქონე ელემენტების ელექტრონული კონფიგურაციისა და მანვლდების პერიოდულ სისტემაში მათი ადგილის შესახებ.

ნ. ბორის ცნობილი შრომის (1913 წ. ატომის აღნაგობის შესახებ) გამოქვეყნების შემდეგ მრავალი მეცნიერი დაინტერესდა იმით, თუ როგორ ხორციელდება რადიის მომდევნო ელემენტების ელექტროგარსების შექმნა. ამასთან დაკავშირებით გამოითქვა მოსაზრება, რომ, თუ ელემენტების პერიოდული სისტემის უკანასკნელი პერიოდის შევსება იწყება ელემენტიდან, რომლის რიგითი ნომერია 87, მაშინ ელემენტს, რომლის რიგითი ნომერია 118, ინერტული აირის თვისებები უნდა ექნეს, ე. ი. უკანასკნელი მეშვიდე პერიოდი, დაწყებული ფრანკლინიდან (87), უნდა დასრულდეს 32 ელემენტის შემდეგ, ისე როგორც ეს იყო დადგენილი წინამე-6 პერიოდის იშვიათი მიწა-ელემენტებისათვის.

ბორი აღნიშნავდა, რომ მძიმე ატომების 54 ელექტრონები უნდა ხასიათდებოდეს უფრო ნაკლებად მტკიცე კავშირით, ვიდრე ლანთანოიდების ღრმად მდებარე 4f ელექტრონები. ამიტომ ძნელია წინასწარმეტყველება, თუ პერიოდული სისტემის რომელ ადგილას უნდა მოველოდით პირველ 54 ელექტრონის გამოჩენას.

ლანთანოიდების ჯგუფის მსგავსი ელემენტები იწყება ურანამდე თუ მის შემდეგ—ამასთან დაკავშირებით გამოთქმული იყო სხვადასხვა მოსაზრება: გოლდშმიტი ამ ახალი რიგის ელემენტთა პირველ წევრად ასახელებდა თორიუმს, პროტაქტინიუმს, ურანს ან პლუტონიუმს, რომელიც მაშინ არ იყო აღმოჩენილი. მან წინადადება შემოიტანა — „ლანთანოიდების“ მსგავსად (რომელიც მიღებული იყო იშვიათი მიწა-ელემენტების ჯგუფისათვის),

შემოღებული ყოფილიყო სახელწოდებები: „აქტინოიდები“, „თორიდეზი“, „პროტაქტინიდეზი“ და „ურანიდეზი“, იმის მიხედვით, თუ რომელი დასახელებული ელემენტიდან დაიწყებოდა 54 დონეების ელექტრონების შევსება.

1932 წელს, ჩედევის მიერ ნეიტრონების აღმოჩენის შემდეგ, ფერმიმ შეისწავლა ნეიტრონებით ურანის ბირთვის დაუფარავის შედეგად მიმდინარე ბირთვული რეაქციები და გამოიტანა დასკვნა ტრანსურანიდების არსებობის შესახებ. გამოირკვა, რომ ბუნებრივ ურანში 0,7%-ით შემავალი ურანის მსუბუქი იზოტოპი, რომლის ატომური წონაა 235, ნელი ნეიტრონების დაშენით იყოფა საშუალო მასის ორ ბირთვად (30Zn-დან 65Tb-მდე). ეს პროცესი, რომელიც ხორციელდება ჯაჭვური რეაქციით, წარმოადგენს ატომური ენერგიის მიღების საფუძველს.

ურანის ბირთვულ ან სხვა სათანადო რეაქტორებში (II, γ) რეაქციის საშუალებით (ნეიტრონების დაშენით) შეიძლება მიღებულ იქნეს მრავალი ქიმიური ელემენტის რადიოაქტიური იზოტოპი. ასეთი იზოტოპების 3 დაშლისას წარმოიქმნება ერთი მტკი რიგითი ნომრის მქონე ელემენტები. ტრანსურალი ელემენტები თავისუფალ მდგომარეობაში მიიღება მათ სამფორთხეზე დაახლოებით 1000-1300⁶ ლითონური ბარიუმის მოქმედებით.

ნეფტუნიუმი (Np) პირველი ტრანსურალი ელემენტია. ურანის მსგავსად თავის ნაერთებში იგი ამჟღავნებს 3-დან + 6 ვალენტობას, მაგრამ ურანისაგან განსხვავებით მისი მდგრადობის მაქსიმუმი გადანაცვლებულია ჯანგვის დაბალი საფეხურებისკენ.

პლუტონიუმი (Pu) ყველაზე მნიშვნელოვანია ტრანსურალ ელემენტებს შორის, რადგან ის ურანის მსუბუქ იზოტოპთან (მასით 235) ერთად საწარმოო რაოდენობით მიიღება რეაქტორში და წარმოადგენს ატომური ენერგიის მუდამ მნიშვნელოვან წყაროს.

პლუტონიუმის არსებობა დამტკიცებული იქნა ბუნებაში. იგი მიღებულია ფისოვანი მადნიდან შეტად მკარე რაოდენობით, პლუტონიუმის დაშლის ნახევარპერიოდი 24000 წელი.

ურანისა და ნეფტუნიუმის მსგავსად პლუტონიუმი გვაძლევს ჯანგვის ყველა საფეხურის ნაერთებს + 3-დან + 6 ვალენტობამდე. მისი ნაერთების მდგრადობის მაქსიმუმი უფრო გადანაცვებულია ჯანგვის დაბალი საფეხურის ნაერთებისაკენ, ისე რომ სხნარებში ყველაზე მდგრადია ოთხვალენტოვანი პლუტონიუმის ნაერთები.



სხვა ტრანსურანულ ელემენტებს შორის აღსანიშნავია:

ამერიციუმი (Am), რომელიც ვერცხლისმაგვარი ჰედილი ლითონია და ხასიათდება მცირე ($d=11.7$) კუბური წონით. მსგავსად ზემოთ განხილული ელემენტებისა, ამერიციუმი გვადლევს ეანგვის ყველა საფეხურის ნაერთებს 3-დან + 6-მდე. ბოლო დროს მიღებული ორკვალენტოვანი ამერიციუმის ნაერთი. ამერიციუმის ნაერთებიდან ყველაზე სტაბილური მისი სამვალენტოვანი ნაერთებია, რაც აქტიურიდღური თეორიის დამადასტურებელია.

კიურიუმი (Cm), უკანასკნელ დრომდე ქიმიური გამოკვლევებისათვის გამოიყენება მისი იზოტოპი (მასით 242); მისი დაშლის ნახევარპერიოდი 162 დღე-ღამე. კიურიუმის უფრო ხანგრძლივი სიცოცხლის მქონე იზოტოპები (აქტიური წონით 243 და 244) საკმარისი რაოდენობით ჯერ კიდევ მიღებული არაა.

კიურიუმზე მუშაობას ხელს უშლის მისი პრეპარატების α აქტიობა, რის გამოც ხსნარები ჩქარა ხურდება, ორთქლებმა და იდვანტება; წყალი იშლება წყალბადის და ეანგბადის გამოყოფით და წყალბადის ზეანგვის წარმოქმნით. კიურიუმი გვადლევს მხოლოდ სამვალენტოვან ნაერთებს; მისი ეანგვის სხვა საფეხურები ვერ მიიღეს. სამვალენტოვანი კიურიუმი სრულ ანალიზის იჩენს სამვალენტოვან გადორნიუმიდან, რომელიც იმდენჯერ აგრეთვე მხოლოდ სამვალენტოვან ნაერთებს.

ბერკლიუმი (Bk), მიუხედავად იმისა, რომ ამ ელემენტს აქვს დაშლის ნახევარპერიოდი 4,6 საათი, მაინც შეძლეს მისი გამოყოფა მეტად მცირე რაოდენობით. ბერკლიუმის მსგავსად ბერკლიუმი იჩენს ოთხ ვალენტობასაც. ძლიერი მჟანგავების მოქმედებით შეძლეს ბერკლიუმის ოთხ ვალენტობამდე დაჟანგვა და ფოსფატების სახით გამოყოფა.

კალიფორნიუმი (Cf) მიღებულია ძლიერ მცირე რაოდენობით. აქტიურიდღების რიგში კალიფორნიუმის, როგორც ეკადისპრობიუმის ადგილის განსაზღვრა, მოხერხდა ორგანოკალითი ფისებიდან მისი თანმიმდევრული გამოყოფით. ადრე ასეთი ხერხით გამოყოფილი იყო დი-სპროზიუმიც. მისი ნაერთებიდან სტაბილურია სამვალენტოვანი ნაერთები. ოთხვალენტოვანი ნაერთები ჯერჯერობით მიღებული არაა. გამოთქმულია აზრი, რომ შესაძლებელია ხუთვალენტოვანი კალიფორნიუმი არსებობდეს მისი CfO_2 ოქსიკაითონის სახით.

რაც შეეხება №№ 99-102 ელემენტებს, 1950-1951 წლებში უცხოეთის მეცნიერულ-პოპულარულ ჟურნალებში გამოქვეყნებული ცნობა 99-ე და მე-100 ელემენტების აღმოჩენის შესახებ, რომლებსაც ჰაფნიუმი და ცენტურიუმი უწოდეს, არ გამოდგას სწორი. ამ ელემენტების მიღების თარიღად მიჩნეულია 1953 წელი, როდესაც ისინი ახალი გზით მიიღეს.

1955 წელს ექვევში ატომური ენერგიის მდიონის ბიანი მოხილთ გამოყენებისათვის პოწყველ-საგანისა რისო სამეცნიერო-ტექნიკურ კონფერენციაზე ცნობილი გახდა, რომ ეინშტეინის სივრცის აღსანიშნავად ელემენტი № 99-ს ეწოდა ეინშტეინიუმი (Es), ხილო № 100-ს — ფერმიუმი (Fm).

ამჟამად ცნობილია ეინშტეინიუმის 5 და ფერმიუმის 4 იზოტოპი. ეინშტეინიუმის იზოტოპების დაშლის ნახევარპერიოდი იწყება წუთიდან და აღწევს ერთ თვემდე, ფერმიუმის იზოტოპებისა კი — 30 წუთიდან 15 საათამდე.

1955 წლის მაისში აეტოროთა ჯგუფმა (სიბორტი და სხვ.) გამოაქვეყნა ცნობა № 101 ელემენტის ზელოვნურად მიღების შესახებ. ამ ელემენტს მენდელეევის პერიოდაცხემად ეწოდა მენდელევიუმი და აღინიშნა Md. მისი ატომური წონაა 256. ეს ელემენტი მიღებული იყო ეინშტეინიუმის იზოტოპზე (მასით 253) α -წილაკების დაყუმბარებით. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარების გაეყარვლებამი იყო მენდელევიუმის სულ 17 ატომი, შესაძლებელი შეიქნა მისი ქიმიური და რადიოაქტიური თვისებების დადგენა.

1957 წლის 9 ივლისს გამოქვეყნდა ცნობა სამი ქვეყნის — შვეიცრის, შვედეთისა და ინგლისის — მეცნიერების მიერ № 102 ელემენტზე, რომელიც მიღებული იყო კიურიუმის იზოტოპზე (მასით 244) მრავალშტუბიანი ორენიბს (^{244}C) დაშენით. ელემენტს № 102 ნობელის პატივსაცემად (მის სახელს ატარებს ინსტიტუტი. სადაც ეს ელემენტი პირველად იყო სინთეზირებული) ეწოდა ნობელიუმი — No.

ცის ურანული ელემენტები: თორიუმი, პროტაქტინიუმი და ურანი (Th, Pa, U) დღიი ხანია ცნობილია, მიუხედავად ამისა მათი ქიმია ნაკლებად შესწავლილია.

როგორც ცნობილია, თორიუმი, პროტაქტინიუმი და ურანი ამ ბოლო დრომდე მენდელეევის პერიოდული სისტემის შესაბამის IV, V და VI ჯგუფებში ელემენტებს მდებარეობდა. მაგრამ სხენებული ელემენტების ქიმიის კრიტიკული განხილვიდან გამომდინარე, რომ ამ ელემენტების, განსაკუთრებით კი ურანის, მიყოფენება აღნიშნული ჯგუფებშიადაში, შეუთავსებელია მათი თვისებების გამო.

ლითონური ურანის ხვედრითი წონა უა ლლობის ტემპერატურა არ ეთანადება მისი მოქოლოგების შესაბამის სიდიდებს.

ურანი ბუნებაში ყოველთვის გვხვდება თორიუმთან და იშვიათად მიწა-ელემენტებთან, მაგრამ არასოდეს — მოლოდენთან და ვოლფრამთან.

ქრომი, მოლოდენი და ვოლფრამი გვადლევს ჰექსაყარბონილებს, ურანი კი კარბონილებს არ იძლევა. ეს უკანასკნელი აშართლებს ბორის კონფიგურაციის მისი შესახებ, რომ შემდგომი ინტერესი აირის — ელემენტის წარმოქმნას უნდა ველოდეთ მხოლოდ 118-ე ელემენტზე. აქედან ცხადია, რომ ურანს ექვსი მოლეკულა



ნახშირის ქანგის კოვალენტური კოორდინირებით არ შეუძლია მიაღწიოს ინტრატული აირის მსგავს ელექტრონულ კონფიგურაციას.

აუციის ჰომოლოგებისაგან განსხვავებით ურანი იქ-
ლევს ლანთანიიდების ანალოგიურ (La2) აცტილენო-
გენურ კარბიდს (UC2).

გარდამავალი ელემენტებისაგან განსხვავებით, ექვს-
ვალენტური ურანის ნაერთები არასტაბილურია — ად-
ვილად აღდგება რა ოთხ და სამ ალკალინობაზე.

როგორც ქიმიური, ისე სპექტროსკოპიული ფაქ-
ტები არ იძლევა ქრომის ქვეჯგუფში ურანის მოთავსე-
ბის საშუალებას, პირიქით, ისინი ამტკიცებენ, რომ ურა-
ნი არის აქტინოიდებს რიგის წევრი.

ბოლო დროს გამოქვეყნებული შრომები, რომლე-
ბიც შეეხება პროტაქტინიუმის ქიმიას, მიგვითითებს,
რომ ამ ელემენტის მოლოგინება მეხუთე ჯგუფის ქვე-
ჯგუფისათვის (ვანადიუმი, ნიობიუმი, ტანტალი) საე-
ვოა. პროტაქტინიუმის რადიოქიმიური შესწავლიდან გა-
მოიჩვენა, რომ ეს დიდად განსხვავდება მისი ჰომოლო-
გის — ტანტალისაგან და თვისებებით უახლოვდება
ციროკონიუმს. პროტაქტინიუმის ქიმიის უახლესი მილ-
წეები ამტკიცებს მის აქტინოიდურ ხასიათს.

თორიუმს უყანასკნელ დრომდე ცნობილი აყო მისი
მხოლოდ ოთხვალენტური ნაერთების სხივით და ამი-
ტომ მას ავითოვებდნენ პერიოდული სისტემის IV
ჯგუფს. ბოლო დროს მიღებული იქნა თორიუმის სამ და
ორვალენტური ნაერთები, მაგრამ ასეთი ნაერთები ამა-
სიათებს აგრეთვე მის ჰომოლოგებს — ტიტანს, ცირო-
კონიუმს და პანტანუმს. თორიუმის სამიოდანი ნაერთი არ
არის ოზომორფული იშვიათი მიწების ანალოგიური ნა-
ერთებისა. ასე, რომ ეს ნაერთები არ ეწინააღმდეგება
თორიუმის IV ჯგუფში ყოფნას.

აღსანიშნავია, რომ თორიუმის და ცერკუმის გეო-
ლოგიური საბალოები ერთად გვხვდება და ამავე დროს
ისინი ქიმიურადაც დიდ ანალოგიას იჩენენ, რას გამო
თორიუმი ლანთანიოიდების ანალოგი ხდება და ამით ის
აქტინოიდების ჯგუფს უნდა მიეკუთვნოს.

ცის ურანიდების — ურანის, პროტაქტინიუმის
და თორიუმის — შედარებითი ქიმიური თვისებების შეს-
წავლიდან ირკვევა, რომ ურანს აქტინოიდური თვისე-
ბები უფრო ყარგად აქვს გამოხატული და რომ ეს თვისე-
ბებები პროტაქტინიუმისა და თორიუმის მიმართულუ-
ბით მცირდება. თორიუმი ტიტანის, ციროკონიუმის და
პანტანუმის თვისებებს უფრო იჩენს, ვიდრე აქტინოიდუ-
ბისას, ეს აისხნება იმით, რომ თორიუმის 5F და 6d ელექ-
ტრონების ღონეებს შორის ენერგეტიკული განსხვავება
მცირეა და ადვილად შეიძლება მათი ერთმანეთში გადას-
ვლა. მიუხედავად ამისა, თორიუმს აქვს 5f6d7s² თუ
6d²7s² კონფიგურაცია, მისი მიკუთვნება აქტინოიდების
ჯგუფისათვის შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან
ეკავანთუნის ადგილი პერიოდულ სისტემაში უნდა დაი-
ჭიროს 104-ე ელემენტმა, რომელიც ჯერ აღმოჩენილი

არაა. თორიუმი უნდა მივიჩნიოთ აქტინოიდების ჯგუფის
პირველ წევრად.

**ტრანსურანული ელემენტების ადგილი მენდელეევის
პერიოდულ სისტემაში.** მენდელეევის პერიოდულ სის-
ტემის მეშვიდე პერიოდის აღნაგობის შესახებ, ჯერ კი-
დეც ტრანსურანული ელემენტების აღმოჩენამდე, მრავ-
ალმა მეცნიერმა გამოიჭია თავისი მოსაზრება. ზოგი
მათგან იმ აზრისა იყო, რომ მეექვსე პერიოდის მსგავს-
ად, მეშვიდე პერიოდში უნდა შეიცავდეს 32 ელემენტს.
არსებობს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებათა დამადას-
ტურებელი მრავალი ფაქტი.

თუ მივიღებთ, რომ ტრანსურანული ელემენტები
წარმოადგენს აქტინოიდების ოჯახს, მაშინ მათთვის,
ლანთანიოიდების მსგავსად, უმთავრესად დამახასიათებ-
ელი უნდა იყოს მდგრადი სამვალენტოვანი ნაერთები.
ურანი და ტრანსურანული ელემენტები რომ იშვიათ
მიწა-ელემენტების კი არა, არამედ ეოლფრამის, რენი-
უმის, ოსმიუმისა და ა. შ. ანალოგები ყოფილიყვნენ, მა-
შინ უფრო მძიმე ელემენტებისაიენ გადასვლისა მალა-
ლი ვალენტობის ნაერთების მდგრადობა უნდა გაზრდი-
ლიყო. სინამდვილეში ხდება პირიქით. — ურანიდან
ამერიციუმისაყენ მწელდება დაბლიდან მაღალი ვალენტო-
ბაში გადასვლა. ასეთი გადასვლების ოდენობრივ დამა-
ხასიათებლად შეიძლება გამოვიყენოთ ქანგა-ალდგენი-
თი პოტენციალები № № 92-95. ელემენტების სამი და
ოთხვალენტოვანი და ოთხი და ექვსვალენტოვანი ნაერ-
თებისათვის.

	II	Np	Pu	Am
III—IV+0.63	—0.14	—0.95	—2.6	
IV—IV—0.33	—0.94	—1.0	—	

დადებითი ქანგა-ალდგენითი პოტენციალი უმასუ-
ხებს ყოფი მდგრად ნაერთებზე, ხოლო უარყოფითი —
ნაკლებ მდგრად მდგომარეობაზე გადასვლას. ურანიდან
ამერიციუმისაყენ სამ და ოთხვალენტობიდან ექვსვალენ-
ტობამდე დაიქანგა მერტად გაძლიერებულია. სამვალენტო-
ვანი ნაერთების მდგრადობა ურანიდან ამერიციუმისაყენ
სწრაფად ოზრდება. ციროკონიუმისათვის ცნობილია მხო-
ლოდ სამვალენტოვანი ნაერთები.

ციროკონიუმს შიშდგომი ელემენტის — ბერკელუ-
მის — წყაროსნარები სამიოდან ოთხვალენტობამდე და-
ქანგა შესაძლებელია. ამრიგად, გარკვევით ჩანს ანალო-
გია იშვიათ მიწებთან, სადაც მხოლოდ სამვალენტოვანი
ტერბიუმი შეიძლება დაქანგავდეს ოთხვალენტობამდე და
არა ვალდენიუმში, მსგავსად ციროკონიუმისა.

აღნიშნული ფაქტები ფრიალ მნიშვნელოვანია მე-
ვიდე პერიოდის სტრუქტურის გასარკვევად. როგორც
ცნობილია, ლანთანიოიდების ოჯახიდან განსაკუთრებო-
მდგრადია ის ელემენტები, რომლებსაც მოლიანბ (14
ელექტრონი — ლუტეციუმი) ან ნახევრადშეესებული
(7 ელექტრონი — გადოლინიუმი) აქვს 4f ოდნე ელექ-
ტრონებით. ამიტომ ლუტეციუმი და გადოლინიუმი გან-



საკუთრებით მდგრადობას იჩენს სამვალენტოვან მდგომარეობაში.

სამვალენტოვანი კიორიუმის დიდი მდგრადობა და მხოლოდ სამვალენტოვანი ნაერთების არსებობა ამ ელემენტისათვის ბიველითობებს, რომ კიორიუმის 5f ელექტრონულ გარსზე მოთავსებულია შვიდი ელექტრონი ($5f^7 6d^1 7s^2$), ე. ი. კიორიუმი არის მეშვიდე ელემენტი აქტინოიდების რიგში. ამით ისიც მტკიცდება, რომ პერიოდულ სისტემაში აქტინოიდების შემდეგ პირველი ელემენტის ადგილი თორიუმს უნდა ეკუთვნოდეს. კიორიუმის და გადოლინიუმის თვისებების შედარება საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ, რომ ლანთანოიდების ანალოგები წამოვიღოთ აქტინოიდებია და არა „თორიიდები“, „ურანიდები“ და სხვ.

აქტინოიდების მსგავსება ლანთანოიდებთან მტკიცდება აქტინოიდების იონგაცვლითი ფისებთან ურთიერთდამორჩეობითაც.

აქტინოიდებისა და ლანთანოიდების ქრომატოგრაფიული დაყოფის მრუდები სრული ანალოგები არიან. ცდებში დადგენილია, რომ, ლანთანოიდების მსგავსად, ქრომატოგრაფიულ სვეტში აქტინოიდების გამოჩენების (ელუიების) თანმიმდევრობა ზუსტად შეეფარდება ჰეროდოტულ სისტემაში მათი განლაგების თანმიმდევრობას.

ურანის, ნეპტუნიუმის, პლუტონიუმის, ამერიკიუმის და კიორიუმის სპექტრალურმა შესწავლამ გვიჩვენა ამ ელემენტების სპექტრალური თვისებების დიდი მსგავსება იშვიათი მიწა-ელემენტებთან. ეს მსგავსება მაჩვენებელია იმის, რომ აქტინოიდების რიგი შეიცავს 5f ელექტრონებით და მათი შთანთქმის რთული სპექტრები ერთნაირად მარტივდება ორივე ოჯახის შუა ადგილას მდებარეობის (ე. ი. გადოლინიუმთან და კიორიუმთან მიღწევასა, რომლებთანაც აქვთ შედარებითი 4f და 5f ელექტრონი).

აქტინოიდების მსგავსებაზე მიგვიითობებს აგრეთვე მათი ქანველების კრისტალური სტრუქტურის იზომორფიზმი (თორიუმის, პროტაქტინიუმის, ურანის, ნეპტუნიუმის და ამერიკიუმის ორჯანები) და ამ ქანველების კრისტალურ გისისში ლიოთურთი იონების რადიუსების განუწყვეტლად შემცირება.


ნეოთერების აღნაგობის დასადგენად ზნირად მიმართვენი კვლევის მაგნიტოქიმიურ მეთოდს და კარგ შედეგებსაც აღწევენ. მაგნიტურ ველში ატომების და იონების ქვევის გამოკვლევა შეეძლოა მივიღოთ ცნობები მათი ელექტრონული გარსების აღნაგობის შესახებ.

ლანთანოიდებისა და აქტინოიდების ურთიერთშესაბამისად მოგვყავს ცნობები მათი მაგნიტური ამოვსებლობის შესახებ.

ნახაზე მოტანილია მოლარული / მაგნიტური ამოვსებლობა სამვალენტოვანი ლანთანოიდებისათვის, დაწყებული ცერაუმიდან (ერთი f ელექტრონი) — ერობიუმამდე (ექვსი f ელექტრონი) და ნეპტუნიუმის

ექვსი, ხუთი და ოთხი, პლუტონიუმის (მეცხე f ელექტრონი) ხოლო ამერიკიუმის სამვალენტოვანი ნაერთებისათვის. ეს მონაცემები მიგვიითობს, რომ ჩამოთვლილ აქტინოიდების იონებში f ელექტრონთა რიცხვი, ლანთანოიდების მსგავსად, იცვლება ერთიდან ექვსამდე.

აქედან აქეთებენ დასკვნას, რომ ნეპტუნიუმის ნეიტრალური ატომი შეიცავს ოთხ 5f ელექტრონს, პლუტონი-



ნეიუმისა — ხუთს, ხოლო ამერიკიუმისა ექვსი 5f ელექტრონი უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, აქტინოიდების რიგში ნეპტუნიუმი ღვას პეოთხე, პლუტონიუმი — მეხუთე და ამერიკიუმი — მეექვსე ადგილზე და, ამრიგად, დასტურდება, რომ აქტინოიდების რიგში აქტინიუმის შემდეგ უნდა იდგეს თორიუმი.

სიბერაბა მის მიერ მოწოდებულ პერიოდულ სისტემაში ელემენტების დალაგების საფუძველზე იწინასწარმეტყველა ჯერ კიდევ უცნობი ტრანსლურანული ელემენტების ქიმიური თვისებები. მან გვიჩვენა, რომ დაწყებული № 104 ელემენტებიდან, რომელიც ეკავაფიუნდალ უნდა წარმოვიდგინოთ, უთუოდ უნდა გავრტყდეს 6d ღონეების შევსება. ამის შემდეგ დაიწყება 7p ღონეების დაშენება და შემდეგმა ჰიპოტეტურმა ინერტულმა აირმა — № 118 ელემენტმა — უნდა დაასრულოს 7-მდე პერიოდი.

ამრიგად, აქტინოიდების ყოველმხრივი შესწავლის შედეგად დამტკიცდა, რომ მენდელეევის პერიოდული სისტემის მეშვიდე პერიოდის აღნაგობა მეექვსე პერიოდის ანალოგიურია.

საქართველოს მთავრობის განცხადება

6. მალაქაშვილი

აბასთუმანის აბრეშუნიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი

არასტაციონარული ეწოდება იმ ცვალებად ვარსკვლავებს, რომლებიც სიკაშკაშის არაწესიერი ცვალებადობით ხასიათდებიან.

ასეთ ვარსკვლავებში მიმდინარე მოვლენები უკანასკნელ ხანს მთელი მსოფლიოს ასტრონომთა დიდ ყურადღებას იპყრობს. ამ პრობლემას მიეძღვნა მთელი რიგი თითბარები და კონფერენციები.

ცნობილია, რომ სიკაშკაშისა და ფერების მიხედვით ვარსკვლავები ერთნაირი არაა: გვხვდება მზეზე ბევრად კაშკაშა (ე. წ. გიგანტები და ზეგიგანტები) და უფრო მკრთალი ვარსკვლავები (ჯუჯები). ზოგი ვარსკვლავი უფრო წითელია, ზოგი მოლურჯო და ყვითელი. ეს იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ვარსკვლავთა ტემპერატურა. ნაკლებად ცხელია წითელი ან მოწითალო ვარსკვლავები, უფრო ცხელია მოყვითალოები. ყველაზე ცხელია თეთრი და მოლურჯო ვარსკვლავები. ასტრონომებს აქვთ ვარსკვლავთ სიკაშკაშის შეფასებისა (ფოტომეტრია) და ფერების განსაზღვრის (სპექტრული ანალიზის დახმარებით) საშუალებები.

ფოტომეტრული დაკვირვებები საშუალებას იძლევა გამოვლინებულ და შესწავლილ იქნეს არასტაციონარული ვარსკვლავების სიკაშკაშის მცირე ცვლილებებიც კი. ამ ვარსკვლავთა სიკაშკაშის ცვალებადობას თან ახლავს სპექტრის სახის ცვლილებებიც, რომელთა შესწავლას დიდი მნიშვნელობა აქვს.

არასტაციონარულ ვარსკვლავებს შორის არის ისეთები, რომლებიც დროდადრო განიცდიან ერთგვარ „ანთებას“ ანუ „აფეთქებას“. მათ ახალ ვარსკვლავებს უწოდებენ.


ახალი ვარსკვლავები სიკაშკაშის ერთბაშად და ძალიან სწრაფი ცვლილებით ხასიათდება. 2-3 დღე-ღამის განმავლობაში ვარსკვლავის სიკაშკაშე ათეულ ათასჯერ იზრდება, შემდეგ კი ნელა კლებულობს. სიკაშკაშის მაქსიმუმის შემდეგ, შემცირების დროს ადგილი აქვს სიკაშკაშის ცვლილებებს (ჩხევეებს).

ერთი ასეთი ახალი ვარსკვლავი, რომლის სიკაშკაშის ცვალებადობის მრუდი მოცემულია 1-ლ ნახ.ზე, ჰერკულესის თანავარსკვლაველში აიწო 1934 წელს (მას ასე აღნიშნავენ: N ჰერკულესის 1934 ან ჰერკულესის DQ). მისი სიკაშკაშე მაქსიმუმის შემდეგ 2-3 კვირის გან-

მავლობაში მნიშვნელოვნად შემცირდა. შემდეგ ოთხი თვის მანძილზე ხდებოდა სიკაშკაშის მომატება უფრო ნელა და შემდეგ კი კვლავ დაიწყო ძალიან ნელა შემცირება.

ასეთი ვარსკვლავები შეიძლება ძალიან დიდი ხნისა იქნეს, მაგრამ ნორმალურ მდგომარეობაში ანთებად მცირე სიკაშკაშის გამო მათ ვერ ვამჩნევთ. მხოლოდ აფეთქებისას, როდესაც მისი სიკაშკაშე ძალიან იზრდება, შესაძლებელი ხდება მათზე დაკვირვება.

თუ ერთი წუთით წარმოვიდგენთ, რომ მზე „ახალ“ ვარსკვლავად აინთებოდა, მისი სიკაშკაშე და სიდიდე იმდენად გაიზრდებოდა, რომ ეს გამოიწვევდა დედამიწის დაღუბას. 1933 წელს საბჭოთა ასტრონომებმა პ. პარენაგომ და ბ. კუკარკინმა გამოიკვლიეს, რომ მზეს არ მოეწონებოდა ანთების საშუალება. მათ გამოავლინეს და განსაზღვრეს ანთებისუნარიანი ვარსკვლავების მცირერიცხოვანი კლასი. ახალი ვარსკვლავები გარკვეულ მასასიათბელიანი ცხელი, ჭუჭუა ვარსკვლავების განსაკუთრებული კლასია, რომელსაც ვარსკვლავების უმრავლესობა და მათ შორის ჩვენი მზეც არ მიეუფოვნება. ვარსკვლავის ანთებას თან სდევს მისი წიაღიდან მატერიის ამოფრქვევა და,



ნახ. 1



აღბათ, ვარსკვლავის აგებული ცვლილება: „ანთე-
ბა“ სრულებითაც არ მოასწავებს ვარსკვლავის მოსა-
ბას. გარკვეული დროის შუალედის შემდეგ იგივე ვარ-
სკვლავი კვლავ აინთება.

3. პარენაგომ და ბ. ექვარკინმა ერთი ახალი ვარ-
სკვლავის — ჩრდილოეთის გვირგვინის T-ს (ცვალებადი,
ვარსკვლავები აღინიშნებიან ლათინური ასოებით და
თანავარსკვლავების ჩვენებით) ანთების მომენტი წინას-
წარ გამოითვალეს. ნაწინასწარმეტყველები ანთება მარ-
თლაც მოხდა 1946 წელს. ახალი ვარსკვლავები ვარ-
სკვლავის ნახტომისებრი განვითარების ერთ-ერთი მაგა-
ლითია.

დაკვირვებათა მასალის განხილვა საშუალებას იქ-
ლევა გამოვარკვეოთ მათი ქიმიური შედგენილობა, ან-
თებისას ამოფრქვეული ნივთიერების რაოდენობა, მას
და სხვ.

სამყაროს შესწავლაში ასტრონომიის ძირითადი სა-
კითხია ვარსკვლავთ წარმოშობა და განვითარება, აგრეთ-
ვე ის, თუ რა წარმოადგენს ვარსკვლავთ გამოსხივების
წყაროს, რატომ ანთებენ ისინი.

საბჭოთა ასტრონომების დიდი დამსახურებად უნდა
ჩაითვალოს ინტენსიური ძიება ვარსკვლავების ჩამოყა-
ლიბების ადგილების, მათი შესაძლო განვითარების გზე-
ბისა და იმ წინშებისა, რომლებიც დამახასიათებელია სხვა-
დასხვა ასაკის ვარსკვლავებისათვის, აგრეთვე გამოყ-
ვლევები ვარსკვლავთ ენერგიის წყაროების შესახებ. აკა-
დემიკოს ვ. ამბარცუმიანის გამოკვლევებით ვარსკვლა-
ვები წარმოიქმნება არა თითო-თითოდ, არამედ ჯგუფე-
ბად, ე. წ. ასოციაციებში. შემდეგ ეს ვარსკვლავები თან-
დათან გაიბნევა. რამდენიმე ხანს ისინი კიდევ გამოირ-
ჩევიან სხვა ვარსკვლავებისაგან ამა თუ იმ მაჩვენებლე-
ბით და ბოლოს ამ მახასიათებლებსაც კარგავენ.

ასეთი ვარსკვლავთასოციაციები დღესაც შეინიშნე-
ბა და, მასმასაშვე, ვარსკვლავთა წარმოქმნის პროცესი
აქამადაც მიმდინარეობს. საყურადღებოა, რომ ახლად
წარმოიქმნება არა ერთი რომელიმე ტიპის ვარსკვლავე-
ბი (ფიჭოთი, ვარსკვლავი-გიგანტები, როგორც ამას აღ-
რე ფიქრობდნენ); არამედ სხვადასხვა წარმომადგენლე-
ბი ვარსკვლავებისა, ცხელი ვარსკვლავი გიგანტებიც და
ჯუჯა ვარსკვლავებიც.

ვარსკვლავთა იმ ჯგუფებს, რომლებიც ახლა ყალიბ-
დება, მიაკუთვნებენ ცვალებად წითელ გიგანტებს, ე. წ.
კურის T-ს ტიპისა, გელის P-ს ტიპის ცვალებადებს და
სხვ.

ცვალებად წითელ გიგანტებს უწოდებენ ნახევრად
წესიერ და არაწესიერ ცვალებად ვარსკვლავებს, რომელ-
თა სიცოცხლის ცვლადობა შედარებით ნელა მიმდ-
ნარეობს და ამავე დროს მნიშვნელოვან პარამეტრებს
ახასიათებს. სიცოცხლის ცვალებადობის ცვლადობა ცი-
ლები ათეულ და ასეულ დღეებს შეადგენს. მთელი რიგი
თავისებურებანი, რომლებიც ამ ჯგუფის ვარსკვლავე-
ბი ხასიათდება, მოწმობს, რომ ისინი არამდგრადი ვარ-
სკვლავებია და ახლა ყალიბდებიან, ანდა განვითარების
ადრინდელ საფეხურზე არიან. შენიშნულია, რომ ეს
ვარსკვლავები გარკვეულ ჯგუფებადაა თავმოყრილი, რაც
მათ ახალგაზრდობაზე — რამდენიმე მილიონი წლის
ხნოვანებაზე მიუთითებს (გავიხსენოთ, რომ ვარსკვლავთ
უზრავლესობის ხნოვანება მილიარდ წლებს შეადგენს).

როგორც აღვნიშნეთ, ვარსკვლავები გარეგნული მა-
ხასიათებლების მიხედვით მეტად მრავალფეროვანია,
მაგრამ მათ ბევრი რამ საერთო აქვთ. ისინი ყველა ერთი
და იმავე ქიმიური ელემენტებისაგან შედგებიან და მათ
წიაღში მეტისმეტად მაღალი (ათეული მილიონი გრა-
დუსის) ტემპერატურაა. ყველა ვარსკვლავის გამოსხივე-
ბის ენერგიის წყარო ერთია და ეს წყარო არის ერთი
ნივთიერების მეორედ გარდაქმნა, რომელიც ვარსკვლა-
ვის წიაღში მიმდინარეობს.

უკანასკნელ წლებში განსაკუთრებულ ყურადღებას
იპყრობს ზოგიერთი შედეგებით ცივი, ჯუჯა, კურის T-ს
და ვეშპის UV-ს ტიპის ვარსკვლავები. ვეშპის UV-ს
ტიპის ვარსკვლავებისათვის დამახასიათებელია დიდა-
დრო მეტად ხანმოკლე „ანთებები“. მაგალითად, თვით
ვეშპის UV-ს ანთება, რომელიც 1952 წლის 17 სექტემ-
ბერს იყო შენიშნული, 4 წუთს გაგრძელდა, იმავე წლის
24 ოქტომბერს კი — 2 წუთს. ასეთი ანთებისას ვარსკ-
ვლის სიცოცხლე ათეულ და ასულწლეზრ იზრდება, რასაც
თან სდევს უდიდესი ენერგიის გამოყოფა და სპექტრიც
ამ მომენტში მნიშვნელოვნად განსხვავდება ჩვეულებ-
რივი ჯუჯა ვარსკვლავების სპექტრისაგან. ეს ახალგა-
ზრდა ვარსკვლავები ვ. ამბარცუმიანმა ჩათვალა ჩამოყა-
ლიბების პროცესში მყოფად და დასაბუთა, რომ მათი
ყოველმხრივი შესწავლა საშუალებას მოგვცემს გადუ-
ხრო იქნეს ვარსკვლავის ენერგიის წყაროების ბუნებას-
თან დაკავშირებული მრავალი საკითხი. უნდა აღინიშ-
ნოს, რომ ამ ვარსკვლავებში მიმდინარე პროცესების
დაკვირვებათა ანალიზის საფუძველზე ვ. ამბარცუმიანი
ახლებურად სვამს საკითხს ვარსკვლავის ენერგიის წყა-
როების შესახებ და არაღმამკამყოფილებლად მიიჩნა
ის მოსახერხებელი, თითქმის ვარსკვლავის ენერგიის წყარო-
ები მხოლოდ მის წიაღში მოქმედებს.

თუ დავუშვებთ, რომ ამ ვარსკვლავებში „ანთებე-
ბი“ დაკავშირებულია ვარსკვლავის წიაღიდან წამოსულ
სითბოს ზედაფენებისადმი გადაცემაზე, მაშინ შეუძლ-
ბელია აიხსნას ამ მოვლენის მეტისმეტად ხანმოკლე მიმ-



დინარეობა. გარეგნების გათბობას ბევრად მეტი დრო დასჭირდება.

ჟუროს T-სა და ვეშაის UV-ს ტიპის ცვლებადი ვარსკვლავების სპექტრის სახის ცვლილების მიხედვით უნდა ვიფიქროთ, რომ არამდგარი ჯუჯა ვარსკვლავების ატმოსფეროში „ანთების“ დროს მოქმედებს ენერგიის რაღაც დამატებითი საკმაოდ ძლიერი წყაროები, რომლებიც სპექტრის ცვლილებებს იწვევს.

არასტაციონარული ვარსკვლავები მნიშვნელოვან როლს ასრულებს ვარსკვლავების წარმოქმნისა და განვითარების კანონზომიერებათა დადგენაში. ასეთი ვარსკვლავები განსაკუთრებულ ინტერესს იმითმ წარმოადგენს, რომ მათი ფიზიკური აგებულების მეტად სწრაფი ცვლილებები წარმოებს. და ისინი ვარსკვლავის გან-

ვითარების მიმართულების გარკვეულ მაჩვენებლებად გამოდის მივიჩნიოთ.


არასტაციონარულ ვარსკვლავებს შორის მრავალი ისეთიც, რომელთა მდგომარეობა ვარსკვლავთა განვითარების გზაზე ერთი ეტაპიდან მეორეზე გადასვლას შესაბამება.

სსრ კავშირის სხვა ობსერვატორიებთან ერთად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აბასთუმის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაშიც შეისწავლება სხვადასხვა ტიპის არასტაციონარული ვარსკვლავები როგორც სიკაშაშის, ისე სპექტრების გამოკვლევით. მომავალში გათვალისწინებულია კიდევ უფრო გაფართოვდეს სამუშაოები ამ მიმართულებით.

შიდრომექანიკური მომჭერი მოწყობილობა

მანქანათმშენებლობის ტექნოლოგიაში ძირითადი აგრეგატების მწარმოებლობის გაზრდისათვის „შვირე მექანიკა“ ღიდ როლს ასრულებს. მისი საშუალებით ხდება დეტალების სწრაფი დაყენება და მოხსნა, აგრეთვე — დამხმარე პროცესების შესრულება.

„შვირე მექანიკის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნიმუშად ჩაითვლება საკავშირო სამრეწველო გამოღწაზე ექსპონირებული Г-1 მოდელის შიდრომექანიკური მომჭერი მოწყობილობა, რომლის დანიშნულებაც დეტალების დამატება სახარატო-სარევილვერო ჯვრუხის ჩარბეზე. იგი შედგება ორი ნაწილისაგან: ვაზნა და ამბრაი. რკომენდირებულია შემდეგი სახის ვაზნები: УТР (უნივერსალური, თვითმაცენტრებული, ბერკეტაინი), რომელსაც, გარდა მექანიკური ჩამატრების ჯაქვისა,



მოდელი Г-1

აქვს ხელით გაწყობის ჯაქვიც, როგორც ჩვეულებრივ თვითმაცენტრებულ ვაზნას, ПРК (პრემატურიკური სოლოვანი) და ТП (ბერკეტაინი სოლოვანი).

ამბრაი შედგება ძალოვანი ცილინდრის, მკვთარასა და ჰიდროავზისაგან.

კვანძებს შორის კავშირი ხორციელდება მილებით ან მალალი წნევის მოქნილი შლანგებით.

მომჭერი მოწყობილობის ამბრაის გამოყენება შეიძლება დასამუშავებელი დეტალების მოჭერის მექანიკისათვის საფრეზო, სარანდავ და სხვ. ჩარბეზე.

მაქსიმალური მუშა წნევა ჰიდროქსელში შეადგენს 65 კგ/სმ²-ს, ხოლო მაქსიმალური მუშა ძალა 6000 კგ-ია.





საქართველოს სსრ-ის სოფლის მეურნეობის მინისტრის

მოიცავს საათის მანქანის დაყენების მეთოდებს

საკიდი სათიბი КСР-2,1

ეს მანქანა განკუთვნილია ბალახეულის მოსათიბად, გამოიყენება პატარა ნაკვეთებზე. იგი ერთმშაქიანი, მარჯვნივ მჭრელი, ДСН-14 თვითმავალ მასზე საკიდა. მისი სამუშაო ორგანოების მოძრაობაში მოყვანა ხორციელდება შასის სიმძლავრის ასართმევი ლილვიდან, საჭრელი აპარატის აწვე-დაწვევა ხდება შასისავე ჰიდრავლიკური მექანიზმით და გამომტანი ძალური ცილინდრის დახმარებით.


КСР-2,1-ის ძირითადი კვანძები და მექანიზმები: ჩარჩო, საჭრელი აპარატი საველე დაფით, ამძრავი მექანიზმი, საჭრელი აპარატის ასაწვე-დასაწვეი მექანიზმი.

სათიბი მანქანის ჩარჩო ემაგრება თვითმავალი შასის გრძივებზე; მასზე მონტაჟდება მისი ყველა კვანძი და მექანიზმი.

ნორმალური ტიპის სათიბი მანქანის საჭრელი აპარატი მოლიანად უნიფიცირებულია К-2,1 მსხაბული სათიბი მანქანის საჭრელ აპარატებთან და КСР-2,1 საკიდ მანქანასთან. მისი მოდულის განივი 2,1 მ, ტრის სიმაღლე — 5-6 სმ, წონა — 160 კგ. დაყენებულია თვითმავალი შასის მარჯვენა მხარეს, წინა და უკანა თვლებს შორის.


საჭრელი აპარატის დასაწვეი (დახრის) მექანიზმის ნაწილებია: ბრჯევი, რომელსაც ზედა ნაწილი ღარული ზედაპირი აქვს, და მოგრძო ნახევრეტი (აგრეთვე ღარული საყურდისაგან).

ასაწვეი მექანიზმი მუშაობს თვითმავალი შასის ჰიდროსისტემით და შედგება შლანგის გამომტანი ცილინდრის და საპროფინად შეერთებული პერკეტებისა და საწვეებისაგან.



გამომტანი ცილინდრის დაყენება ნაჩვენებია სქემაზე: კორპუსი (5) მანქანაში მარჯვნივ (6), სათიბი მანქანის ჩარჩოს მარ-

ჯვენა გრძივ კუბზე. ხოლო ცილინდრის კოისი თავი — თავისუფალი სვლის პერკეტზე (7). მანქანებზე ჩამოცმულია საველურები და პილიპერები.



ამძრავი მექანიზმის ნაწილებია: ჯაჭვური გადაცემა (1), ლილვი (2) ექსცენტრიკითა და ბარბაკათი. თვითმავალი შასის სიმძლავრის ასართმევი ლილვიდან ექსცენტრიკის ლილვზე მოძრაობის ჯაჭვური გადაცემისას ბურთა რიცხვი იზრდება 745-მდე წუთში (შასის სიმძლავრის ასართმევი ლილვის ბურთა რიცხვია 533 წუთში). სათიბის ბარბაკა ხისაა. მისი თავი დაყენებულია ბურთულა საკისარზე და ქანითი (4) მაკრდება ექსცენტრიკის თითზე (3). ექსცენტრიკის აქვს სარეგულირებელი დამცველი ხრტუნა ქურო (8), რომელიც თავისუფლად გადაადგილდება ღარბებზე (9) და ზამპარითი (10) ეჭირება ხრტუნა საველურს (11). უკანასკნელი თავისი შერეულით უძრავად უერთდება გარსკლავს (12). საველურზე ხრტუნა ქუროს დაქერის ძალა რეგულირდება ზამპარის მოჭერის ცვლილებით, რაც ზოგჯერ ხდება კუბებზე ქანის გადაადგილებით.

დამცველი ქუროს რეგულირება ერთ-ერთი ყველაზე ადვილი მომენტია სათიბი მანქანის მუშაობაში, რადგან მის სისწორეზე და-

ღერობებს და ამით უზრუნველყოფს სათიბის შემდგომი ჩამოვლის თითქმის მუდმივ ნივთიან მარხილის (ბუნების) თავისუფალ გავლას.

სათიბი მანქანის (თვითმავალი შასით) გაბარიტული ზომებია: სიგრძე — 3440 მმ, სიგანე — 3950 მმ, სიმაღლე — 1550 მმ. ნაკვეთიერება ერთი საათის განმავლობაში შეადგენს 1-1,2 ჰა.

ტალის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიისა და საწვავი ფიტების ტექნოლოგიის ლაბორატორიის მეშვეობით მოახდინეს უნივერსალური წყალგამღებ წყლის გამოცდა. იგი მიღებულია ფიტების გადამწვევის პროდუქტებისაგან. წყლის აქვს მაღალი მექანიკური თვისებები. ტენის მოქმედებით მისი შედგენა კი არ კლებულობს, იზრდება. იგი შეიძლება გამოყენებულ იქნეს მინის, კრამიკისა და პლასტიკების დასაწებლად.

მეცნიერული ჟურნალი "ქვემოდა მუნახვე"

ა. რუხაძე

დაუბმელად შენახვის დროს პირუტყვის ძირითადი სადგომია მსუბუქი ტიპის საძროხე, სადაც პირუტყვი ღრმა საფენზე ისვენებს.

ასეთი საძროხის დანიშნულებაა პირუტყვის დაცვა ქარის, წვიმისა და თოვლისაგან, ამიტომ იგი შეიძლება ავაგოთ უკედლოდ ან ფართო გასასვლელებიანი კედლებით ფიცრებისა და სხვა იაფი ადგილობრივი მასალისაგან.

დაუბმელად პირუტყვის შენახვისას საჭირო აღარაა საბმურები, კედელი გზა, ინდივიდუალური საწყურებები და ზოგი სხვა ძვირადღირებული და ლითონგვერდი დანადგარი, რის შედეგადაც მცირდება მშენებლობის ღირებულება (1,5-2-ჯერ), ლითონის ხარჯი (10-12-ჯერ). სანაყელ და საკვებგასასვლელების ლიკვიდაციის ხარჯზე 30-40%-ით იზრდება საძროხის სისარგებლო ფართობი.

დაუბმელად შენახვა შეიძლება მოეწყოს არა მარტო სპეციალურად აშენებულ საძროხეებში, არამედ არსებულშიც (მთავი გადაკეთების შემდეგ), რაც საშუალებას მოგვცემს იმავე ფართობზე ეყოლოთ 30-40%-ით მეტი სული პირუტყვი.

მგრძელუი პირუტყვის დაუბმელად შენახვა წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ როგორც თბილ, ისე ცივ კლიმატურ პირობებში, თუ საკმაო რაოდენობით მოგვეპოვება საფენი, უბეში საკვები და სილოსი. მაგრამ საძროხის ტიპის შერჩევისას მხედველობაში უნდა მივიღოთ კლიმატური თავისებურებანი. მიზანშეწონილია თბილ რაიონებში მოეწყოს ღია ან ნახევრადნახევრული ფარდულები, ცივ კლიმატთან ადგილებში კი — დახურული საძროხეები, სადაც ქარბუქისა და დიდი ყინვების დროს შესაძლებელი იქნება პირუტყვისათვის სილოსის მიცემა.


საძროხის ღია ან ფართოგასასვლელებიანი მხარე მოთავსებული უნდა იყოს გაბატონებული ქარების საწინააღმდეგო მიმართულებით. მისი სიმაღლე უნდა იყოს 3-3,5 მ, ხოლო სისარგებლო ფართობი იანვარი-შუბა ერთ სულზე 5 მ²-ის ოდენობით, საძროხის კედელთან, რომელიც მსუბუქი ტიპითი ესაზღვრება საწველ განყოფილებას, ძროხების საწველ სათავსოში შესასვლელად ეწყობა 1,2 მ სივანის დერეფანი. ნაკელი და საფენი თვითონ ისრუტავს ყოველგვარ სითხეებს, ამიტომ საჭირო აღარაა საძროხეში წუნწუსადენი არხების მოწყობა.

პირუტყვის დაუბმელად შენახვისას საძროხის წინ ეწყობა გამოსარეკი ეზო, რომლის ზომა დამოკიდებულია ბაგური შენახვის პერიოდის ხანგრძლიობაზე, საკვების სახესა და რაოდენობაზე. საშუალოდ ერთ სულ პირუტყვზე მიღებულია 8-10 მ² ფართობი.

ეზო უნდა მოეწყოს სამხრეთ მხარეს, დაიფაროს ასფალტით, ხრწმით, ბეტონით, აგურით ან სხვა მაგარი საფარით; წლის დაგუბების თვიდან ასაცილებლად მას ყოველ 100 მ²-ზე საძროხისა და საკვები ფარდულიდან უნდა ჰქონდეს 1 მ დაქანება და კარგად იყოს დაცული ქარბუქისაგან.

საფენად საჭირო დაწნეხილი ნამქის ნაკრაულები ბაგური შენახვის დაწყების წინ უნდა დეაწყოთ საძროხეში და შემოვაცაოთ გადასატანი ღობურებით, ხოლო მათი დაზარაების შემდეგ განთავისუფლებული ფართობი გამოვიყენოთ პირუტყვის დასასვენებლად.

1 ტ დაწნეხილი ნამქის დასაწყობად საჭიროა 5 მ³ ადგილი, ხოლო 1 ძროხას დღე-ღამეში საფენად ესაპირება საშუალოდ 6 კგ ნამქა, ანუ 180 ღლის ბაგური შენახვის პირობებში — 1080 კგ. ამრიგად, 100 ძროხისათვის საჭირო ნამქა საძროხეში დათავსება 540 მ³ ადგილს.



საძროხისა და გამოსარეკი ეზოს სქემა 100 ძროხისათვის: 1, 2, 3, 4 — სექციები; 5 — დერეფანი; 6 — საწველ სათავსო; 7 — ძროხის გასასვლელად განყოფილება; 8 — გამოსარეკი მოედანი; 9 — ფარდულ სათიფისა და მწიწკა დასაღვსისათვის; 10 — საკვებურებში დიდი ყინვების დროს სილოსის მისაცემად; პუნქტებით აღნიშნულია ღობეებით ღობურები



საფენად უმჯობესია დაეწესოს ნაძვის გამოყენება, რადგან დაუძრელი ნაძვა აუარესებს ნაკელის ხარისხს და ართოვლებს ნაკელსატვირთის მუშაობას.

სათენი ნაძვის ეკონომიის მიზნით საძროხე უნდა გამოყენებით მხოლოდ პირუტყვის დასაცვენებლად და არ დაუშვას იქ საქონლის კვება და დაწყურება (გარდა მელად ქლიოი ყინვებისა, როდესაც იმულებული ვართ პირუტყვს სილოსი მივცეთ საძროხეში), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი სწრაფად გათელავს და ნაკელში აურევს საფენ ნაძვის.

წვიმიან და თოვლიან ამინდში პირუტყვის საკვებად გამოსარეც ეზოში ეწყობა მოსაფლავებული ფარდულები, სადაც უხეში საკვების მარაგი თავსდება. ფარდული კეთდება იმ ანგარიშით, რომ თითოეულ პირუტყვზე 3 მ² ფართობი და 0,4 მ კვების ფრონტი მოდიოდეს. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ, რომ ერთდროულად გამოიყენება პირუტყვის საერთო რაოდენობის არა უმეტეს 25-30%.

პირუტყვის თვითგამოსაკვებად კვების ფრონტის მხარეს ზენიებს უკეთდება გადასატანი ღობურები, რომელშიც პირუტყვს მხოლოდ თავის გაყოფა შეუძლია.

ფარდულის იატაკი ნაკელისა და საკვების ნარჩენებისაგან იწმინდება ბულდოზერით ან სხვა მანქანებით.

სათივებს მოცულობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახით ინახება თივა. 1 ტ დაწეხილ თივას ესაჭიროება 3-6 მ² ადგილი, ხოლო დაუწეხავს — 10-15 მ².

პირუტყვის დაუბმელად შენახვისას დიდი მნიშვნელობა აქვს მიწისზედა დასილოსებისას. სასილოსო კოშეკების მშენებლობის ღირებულება 1 ტ-ზე 200 მანეთამდე აღწევს და მოითხოვს ცემენტის მნიშვნელოვან რაოდენობას. ეს მაშინ, როდესაც მიწისზედა დასილოსებისას საჭიროა სულ მცირე ზარკები.

დადგენილია, რომ 1 ტ სილოსის დამზადება მიწისზედა დასილოსებისას ჯდება 7-ჯერ ნაკლები, ვიდრე კოშეკებში, და 5-ჯერ ნაკლები, ვიდრე მიწისქვეშა ტრანშეებში დასილოსებისას.

სილოსის მიწისზედა გროვების ზომა ისეთი უნდა იყოს, რომ პირუტყვმა 4-5 დღეში მთლიანად შეკმაოს იგი. კვების წინ სილოსი უნდა გაიხსნას ერთი მხრიდან ისე, რომ კვების ფრონტი თითოეული პირუტყვისათვის იყოს 0,2 მ. სილოსის გაფუჭების თავიდან ასაცილებლად კვების ფრონტის მხარეზე უნდა გაუკეთდეს გადასატანი ღობურები.

მთელი ზამთრის განმავლობაში პირუტყვი შეიძლება იკვებებოდეს საკვებ მოდუნებზე, დიდი ყინვებისას კი მას სილოსი საძროხეში უნდა მიეცეს.

პირუტყვის დაწყურება უნდა ვაწარმოო გავუფურო საწყურებლებით, რომლებიც (2-4 მ სიგრძის, 0,5 მ

სიგანისა და 0,5 მ სიღრმის) ხის ან ბეტონის ფარდული და მოწყობილია წყლის მუდმივი ღონეს შესაწირუნებელი სამართებით. საწყურებლები ეწყობა ეზოში ქარისაგან საიმედოდ დაცულ ადგილზე ან უხეში საკვების მისაცემ ფარდულში.

თოვლზე წოლით პირუტყვი რომ არ გაიკედეს, ეზო სისტემატურად უნდა გაიწმინდოს თოვლისაგან.

პირუტყვის დაუბმელად შენახვისას წველაზე მოდის მთელი შრომის ხარჯის 75%. ამიტომ მისი მექანიზაცია მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებაა.

საწველ ბაქანზე ეწყობა დაზგები 4-6 ან 8 ძროხის ერთდროული მოწყველისათვის. თითოეულ დაზგასთან მიყვანილია ვაეულმილვაყვანილობა საწველი აპარატებისათვის, ცხელი წყალი საშხაპო ძაბრით წველის წინ ძროხებისათვის ცურის გამოსაბანად.

თითოეულ საწველ დაზგაზე მიმაგრებულია ერთი საწველი აპარატი. ერთ მწველავს სათანადო ჩვევითა გამოზუმების შემდეგ შეუძლია მოემსახუროს 4 დაზგას და მოწყველოს 40-50 ძროხა.

პირუტყვის დაუბმელად შენახვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ფერმის ელექტროენერგიით შეუფერებლად მომარაგებას. დაუშვებელია ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა. ამიტომ ფერმაში, ელექტროენერგიის წყაროს მიუხედავად, უნდა იყოს მცირე სიმძლავრის ძრავა, რაც საცმარისი იქნება წყლით მომარაგებისა და წველის სამუშაოთა მექანიზაციისათვის.

არაელექტროფიკირებული ფერმების მექანიზაცია! თვის გამოყენებული უნდა იქნეს გადასატან-გენერატორებიანი „დტ-14“ ან „დტ-20“ მარკის ტრაქტორები.

დაუბმელად შენახვისას პირუტყვი ბავური შენახვის მთელ პერიოდში იმყოფება ეზოში, ან ისვენებს ნახევრად ღია სადგომში ღრმა საფენზე, რომლის ხარკიც ღლე-ღამეში 1 ძროხაზე 5-7 კგ-ია. ამიტომ საძროხეში დიდი რაოდენობით გროვდება ნაკელი, რომელიც ნაკელმტვირთავის ან ბულდოზერის საშუალებით წელიწადში 1-2-ჯერ უნდა იქნეს გატანილი.

მართალია, სათავსოებს დაუბმელად შენახვისას უკავია უფრო დიდი ფართობი, ვიდრე ჩვეულებრივ საძროხეს, მაგრამ იგი უფრო მსუბუქი კონსტრუქციისაა, 1,5-2-ჯერ უფრო იაფი ჯდება და 1,5-2-ჯერ ნაკლები შრომა იხარჯება.

დაუბმელად შენახვისას პირუტყვი მეტ დროს ატარებს გარეთ, სუფთა ჰაერზე და უკეთესი მადა აქვს, მაგრამ, რადგანაც მეტია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების საშიშროება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ზოოვეტერინარული წესების დაცვას.

მათემატიკოსის შენიშვნები

(მოთხრობა არაჩვეულებრივ გამოთვლებზე)



დოცენტი ი. ბ. პალნიკოვი

ნახ. ლ. ნინიჭიძე

მეცნიერება მთელ რიცხვთა თვისებებზე, რიცხვთა თეორია, ანუ უმაღლესი არითმეტიკა, შედარებით გვიან წარმოიშვა. მაგრამ ამ მეცნიერების ბევრი ამოცანა უკვე იყო წამოყენებული ძველი დროის მათემატიკოსების მიერ. რიცხვთა თეორიის ამოცანების ფორმულირებაში ზოგჯერ იმდენად მარტივია, რომ მოწაყვლათვისაც გასაგებია. ამ ამოცანათა ამოსახსნელად ხშირად იუცილებელია ძალზე რთული და ზუსტი მათემატიკური აპარატურის გამოყენება და ბევრი შრომის დახარჯვა. ერთ-ერთმა გამოჩენილმა მათემატიკოსმა — კ. გაუსმა შემოკლებიანად გამოხატა თავისი დანიშნული მათემატიკა რიცხვთა თეორიისადმი: „თუ მათემატიკა მეცნიერებათა დედოფალია, მაშინ არითმეტიკა მათემატიკის დედოფალია“.

უდიდესი მარტივი რიცხვის შესახებ

მთელ რიცხვთა ერთობლიობას, რომლებიც განლაგებულია მზარდ რიგში 1, 2, 3, 4, 5, 6, 7... რიცხვთა ნატურალური მწკრივი ეწოდება. 1 არის უმცირესი ნატურალური რიცხვი. ალბათ, ყველაასათვის გასაგებია, რომ არ არსებობს „უდიდესი რიცხვი“, ვინაიდან ასეთ რიცხვს შეიძლება დაეუმატოთ ერთიანი და მივიღოთ უფრო დიდი რიცხვი.

მთელ რიცხვთა შორის შეიძლება აღმოვაჩინოთ ისეთი რიცხვები, რომ

